პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ. ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
26 ივნისი
1940 წ.
№ 145 (5846)
ფასი 10 კაპ.

მ ი მ ა რ თ ვ ა

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსი ყველა მუშისა და მუშა-ქალისა, ინჟინრისა, ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი, პროფესიული კავშირების ყველა წევრისადმი

ამხანაგებო!

მსოფლიო ომი კვლავ აზანზარებს კაპიტალისტურ სამყაროს. მეორე იმპერიალისტურმა ომმა თავის ორბიტში უკვე ჩაითრია დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში— ევროპასა და აზიაში, ამერიკასა, აფრიკასა და ავსტრალიაში — მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა მთლიანად დაქვემდებარებულია ომის ინტერესებისადმი. უკიდურესობამდე მოჭერილია კაპიტალისტური ექსპლუატაციის წნეხი, მუშა დღეღამეში 10-12 საათს და მეტსაც მუშაობს, გაუქმებულია ყველა კვირა და უქმე დღე. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მეურნეობის ასეთი საყოველთაო გასამხედროების გზით კოლოსალურად გაადიდეს ყველა სახის ალჭურვილობის წარმოება.

ამრიგად, გაიზარდა ომის საფრთხე ჩვენი ქვეყნისათვის, საერთაშორისო ვითარება მრავალ მოულოდნელობას გვიმზადებს.

ამ პირობებში ჩვენი ქვეყანა, მშვიდობიანობის პოლიტიკის ერთგული, ვალდებულია სსრ კავშირის ხალხთა ინტერესებისათვის კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერება. ჩვენს ქვეყანას ალჭურვილობის საგნებისა და სხვა საჭირო საქონლის წარმოების მხრივ არ შეუძლია კაპიტალისტურ ქვეყნებზე უფრო ნაკლებად იყოს მომზადებული. ჩვენ ბევრად უფრო ძლიერნი უნდა გავხდეთ, რომ ყოველმხრივ მზად ვიყოთ ყოველგვარი განსაცდელისათვის. ჩვენ კიდევ უფრო ძლიერი ქვეყანა უნდა გავხდეთ როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო მხრივ. ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, განვამტკიცოთ წითელი არმია, სამხედრო - საზღვაო და საჰაერო ფლოტი, გავაუმჯობესოთ და გავადიდოთ მათი შეიარაღება, განვამტკიცოთ სოციალისტური მრეწველობა, რომელიც წითელ არმიას აწვდის ყოველივეს, რაც კი საჭიროა. ჩვენ ვალდებული ვართ დავძაბოთ მთელი ძალღონე ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ჩვენ გვესაჭიროება მეტი ლითონი, ნახშირი, ნავთი, მეტი თვითმფრინავი, ტანკი, ზარბაზანი, ჭურვი, მეტი ორთქლმავალი, ვაგონი, დაზგა, ავტომობილი, მეტი პროდუქცია ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა!

თავისი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის სსრ კავშირის მუშათა კლასმა საჭირო მსხვერპლი უნდა გაიღოს. პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭო სთვლის, რომ ახლანდელი 7-6 საათიანი სამუშაო დღე ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში ამჟამად არ არის საკმარისი საბჭოთა ქვეყნის წინაშე არსებულ ამოცანათა შესასრულებლად. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშა იძულებულია 10-12 საათი იმუშაოს დღეღამეში ბურჟუაზიისათვის, ჩვენს საბჭოთა მუშას შეუძლია და კიდევაც უნდა იმუშაოს მეტი ვიდრე ამჟამად მუშაობს, 8 საათს მაინც, ვინაიდან იგი მუშაობს თავისთვის, თავისი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, ხალხის საკეთილდღეოდ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო სთვლის, რომ მოცემულ პირობებში უნდა გადიდებულ იქნას სამუშაო დღის ხანგრძლივობა მუშა-მოსამსახურეთათვის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებაში და აყვანილ იქნას 8 საათამდე. საჭიროა სამუშაო დღის ხანგრძლივობა გადიდდეს:

შვიდიდან რვა საათამდე იმ საწარმოებში, სადაც შვიდი საათის სამუშაო დღეა;

ექვსიდან შვიდ საათამდე—იმ სამუშაოზე, სადაც ექვსი საათის სამუშაო დღეა, გარდა იმ პროფესიებისა, რომელთა შრომის პირობები ჯანმრთელობისათვის მავნებელია.

ექვსიდან რვა საათამდე დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის;

ექვსიდან რვა საათამდე იმ პირთათვის, რომელთაც 16 წელი შეუსრულდათ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო სთვლის აგრეთვე, რომ ექვსდღიურის საფუძველზე არსებული ორგანიზაცია მუშაობისა საწარმოებსა და დაწესებულებებში ამცირებს პროდუქციის გამოშვებას. ამასთანავე ქალაქში ექვსდღიურზე გადასვლამ გარღვევა შექმნა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის, ვინაიდან სოფლად დღემდე შვიდდღიანი კვირა არის. საჭიროა ქალაქშიც სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებში და დაწესებულებებში შვიდდღიან კვირაზე გადასვლა.

ეს ღონისძიებები სერიოზული ნაბიჯი იქნება საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. თვითეულმა მუშამ, თვითეულმა მუშა-ქალმა კარგად იცის, რომ ზედმეტი ერთი საათის მუშაობა და შვიდდღიან კვირაზე გადასვლა პროდუქციის დამატებითს რაოდენობას მოგვცემს. სამუშაო დღისა და სამუშაო დღეების რიცხვის გადიდება ჩვენს ქვეყანას მისცემს დამატებით ასი ათასობით ტონა ნავთს, ნახშირს, მადანს და ლითონს, ათასობით ახალ დაზგას, ზარბაზანს, თვითმფრინავს, ტანკს და სხვა მანქანებს, ასობით მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელს.

ერთი საათით გადიდების შემდეგაც, სამუშაო დღე სსრ კავშირში წინანდებურადვე ყველაზე მოკლე სამუშაო დღე დარჩება მსოფლიოში. იგი ყველაზე ნაყოფიერიც უნდა გახდეს.

ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად ეპყრობა თავის მოვალეობას, შრომის კანონთა შესრულებას და შრომის დისციპლინას. მაგრამ მათთან ერთად არის ერთი ნაწილი, სახელდობრ იმ ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების 3-4 პროცენტი, რომელნიც დიდიხანი არ არის რაც წარმოებაში მივიდნენ; ისინი სარგებლობენ რა იმით, რომ უმუშევრობა მოსპობილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, და, ბოროტად იყენებენ რა საბჭოთა სახელმწიფოს მოთმინებას, ერთი ქარხნიდან მეორეში გარბიან, ძირს უთხრიან დისციპლინის საქმეს, არ სურთ პატიოსნად იშრომონ, აგდებულად ეკიდებიან კანონით დადგენილ და ხალხის მიერ მოწონებულ მოთხოვნილებათა შესრულებას. აი ამ ფრენიების და გამცდენთა წინააღმდეგ ამჟამად უნდა გაძლიერდეს სასჯელის ღონისძიებანი. მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო ამიერიდან ველარ მოითმენს, რომ ეს ადამიანები ზიანს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას. სახელმწიფო მოვალეა დაიცვას სახალხო მეურნეობა წარმოების დეზორგანიზატორთაგან, მოვალეა დაიცვას ხალხის ინტერესები.

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭო სთვლის, რომ უნდა აიკრძალოს მუშა-მოსამსახურეთა თვითნებური წასვლა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, აგრეთვე თვითნებური გადასვლა ერთი საწარმოდან მეორეში, ან ერთი დაწესებულებიდან მეორეში. პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო სთვლის, რომ მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვითნებურად წავლენ სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, სამართალში უნდა იქნან მიცემულნი და სასამართლოს განაჩენით დაპატიმრებულნი, ხოლო გამცდენთ უნდა მიესაჯოს შრომითი გამასწორებელი სამუშაო მუშაობის ადგილის მიხედვით და ამავე დროს განსაზღვრული ვადით უნდა გამოერიცხოთ მათ ხელფასის ნაწილი.

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანა წინადადება სამუშაო დღის გადიდებისა და მისი რვა საათამდე აყვანის შესახებ, ექვს-დღიურიდან შვიდდღიან კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებური წასვლის აკრძალვის შესახებ. ეს წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონეს.

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო მოუწოდებს მთელ მუშათა კლასს და მთელ ინტელიგენციას მთლიანად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა სსრ კავშირში, მათ უნდა ახსოვდეთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, მისცეს თავის სახელმწიფოს მეტი პროდუქცია, რომელიც საჭიროა სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების ზრდისათვის, — ეს უპირველესი ვალია, მოვალეობაა ყოველი მშრომელისა, სახალხო მეურნეობის რა დარგშიც უნდა მუშაობდეს იგი. ამ მოვალეობის შესრულებით საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე იჩენს თავის პატრიოტიზმს, იჩენს თავისი სამშობლოსადმი ერთგულებას.

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო გამოსთქვამს რწმენას, რომ მუშები და მუშა-ქალები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, პროფესიული კავშირების ყველა წევრი მთლიანად და სავსებით დაუჭერენ მხარს ამ ღონისძიებებს, პატიოსნად შეასრულებენ სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავიანთ მოვალეობას, გვიჩვენებენ შრომითი გმირობის ახალ ნიმუშებს სოციალიზმის დიდი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო.

გაიხსნა ბავშვთა შემოქმედების საქართველოს პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა

გუშინ საოპერო თეატრში გაიხსნა ბავშვთა შემოქმედების საქართველოს პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. ოლიმპიადას დაესწრნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბაქრაძე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. კ. შეროზია, მ. ჯაში, ი. თავაძე და ა. თოფურიძე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. სტურუა.

ოლიმპიადა დაიწყო საზეიმო სხდომით, რომელიც გაიხსნა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მირცხულავას შესავალი სიტყვით. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ოლიმპიადის მონაწილეებმა ლამარა ჩოჩიამ და არნოლდ ტატიშვილმა.

ოლიმპიადის მხატვრული ნაწილი დაიწყო თბილისელ მოსწავლეთა გამოსვლებით. პირველ დღეს თბილისის ფრიადოსნები მრავალფეროვანი პროგრამით და შესრულების მაღალი ოსტატობით განირჩეოდნენ. ყურადღება მიიპყრეს მე-31 სკოლის გუნდმა ნათელა პატარიძის ხელმძღვანელობით, ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის მეჩონგურეთა ანსამბლმა გ. გარუჩავას ხელმძღვანელობით, მეორე სკოლის ანსამბლმა რობერტ ტატიშვილის ხელმძღვანელობით (შეასრულა საინტერესო მონტაჟი „ბედნიერი ცხოვრება“), მქუხარე ტაში დაიმსახურეს იამზე ტყავაძემ, მარინე იაშვილმა, მედეა კანდელაკმა, ნოდარ კიკვაძემ, თენგიზ ამირაჯიბმა და მერი ქარცხიამ. კარგი იყო მე-52 სკოლის ანსამბლი შ. გოგიძის ხელმძღვანელობით, ბერიას რაიონის პიონერთა კლუბის ანსამბლი მ. რაქვიაშვილის ხელმძღვანელობით, რკინიგზის მეოთხე სკოლის მოსწავლეთა ფიზკულტურული ვარჯიში და პლეხანოვის კლუბის მოცეკვავეთა ანსამბლი.

რაიონებიდან ყურადღება მიიპყრო ფოთმა, რომლის მოწაფეებმა კარგად შეასრულეს საინტერესო ინსცენირება კოლხიდის შესახებ. კარგად გამოვიდნენ აგრეთვე ორსანტიის სკოლის, გორის და თელავის მოწაფეები. საინტერესო იყო „ოროველა“, შესრულებული თამარ სარაჯიშვილის მიერ. კარგად იყო მოფიქრებული ქუთაისელ მოწაფეთა მონტაჟი „ძველი და ახალი ქუთაისი“, ოღონდ ცოტა გაჭიანურებულია პირველი ნაწილი. მონტაჟის შესრულებას ხელი შეუშალეს ტექნიკურმა პირობებმა.

პირველ საღამოს შესრულებულ იქნა მთელი რიგი (ცეკვები, ყველაზე უკეთ ლეკური შეასრულეს ლამარა ჩოჩიამ და ვახტანგ გუნაშვილმა, ყველაზე უკეთესად მთიულური იცეკვეს ფოთელებმა, კარგი იყო სიმდა პლეხანოვის კლუბის მოცეკვავეთა შესრულებით და თელაველების მასობრივი ქისტური.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოლიმპიადის პირველი საღამო დასრულდა ღამის 1 საათზე, რამაც უთუოდ გავლენა მოახდინა მესამე განყოფილების მონაწილეთა შესრულების ხარისხზე. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა და საოპერო თეატრის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველჰყვეს დარბაზში წესრიგის დამყარება, ხმაურობა და უწესო წამოძახილები ხელს უშლიდა პროგრამის წაყვანას.

თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
თათრეთის ასსრ სახკომსაბჭოს
საქ. კ. პ. (ბ) თათრეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი სალამს უთვლიან თათრეთის მუშებს, კოლმეურნეებს და ინტელიგენციას თათრეთის ასს რესპუბლიკის შექმნის ოცი წლისთავის გამო.

თათრეთი, რომელიც წარსულში ჩამორჩენილი, ცარიზმის მიერ ულმობლად ჩაგრული კოლონია იყო, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით აყვავდა და მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქცა.

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების მეოხებით, თათრეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. სამუდამოდ ბოლო მოეღო სიღატაკეს, დაჩაგრულობას, კულტურულ ჩამორჩენილობასა და პოლიტიკურ უუფლებობას. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო მძიმე ჩაგვრას რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების და ადგილობრივ ბურჟუაზიის მხრივ, ჩაგვრას, რასაც საუკუნეების განმავლობაში განიცდიდნენ თათრეთის მშრომელნი.

განვლილი ოცი წლის მანძილზე თათრეთის ასს რესპუბლიკაში შეიქმნა მოწინავე თანამედროვე ინდუსტრია. 1939 წელს რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 1.125 მილიონი მანეთის პროდუქცია. ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული ერთპიროვნული სოფლის მეურნეობა, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების მეოხებით გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ მეურნეობად, რომელიც აღჭურვილია ახალი ტექნიკით. რესპუბლიკის მინდვრებში მუშაობს ექვსი ათასზე მეტი ტრაქტორი და სამი ათასი კომბაინი. დიდი მიღწევები აქვს თათრეთს კულტურული მშენებლობის დარგში. რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლა. თათრეთის ასსრ ტექნიკუმებში, მუშფაკებსა და უმაღლეს სასწავლებლებში 25 ათასზე მეტი ქალ-ვაჟი სწავლობს.

ყველა ამ წარმატებამ უზრუნველჰყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სწრაფი ზრდა, ნაციონალური საბჭოთა ინტელიგენციის კადრების შექმნა.

საბჭოთა თათრეთის მშრომელებმა ამ გამარჯვებათ მიაღწიეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გაანადგურეს რა სოციალისტური სამშობლოს მტრები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ თათრეთის მშრომელნი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმურ მეგობრულ ოჯახში, მომავალშიც დაუღალავად იმუშავებენ თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და მთელი საბჭოთა კავშირის ძლიერების განსამტკიცებლად.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 25 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის ცნობას. ცნობაში ნათქვამია, რომ „საფრანგეთში წარმოებული კამპანია, რომელიც 6 კვირას გაგრძელდა, გერმანიის ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. დღეიდან 1 საათსა და 35 წუთზე ძალაში შევიდა შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. გუშინ ბრძოლის უკანასკნელ დღეს ჩვენმა დივიზიებმა, სძლიეს რა მტრის წინააღმდეგობა, წაიწიეს წინ ატლანტის სანაპიროზე რუაიან-ჟირონდის შესართავ—ანგულემის ხაზამდე. რაინის ფრონტზე და ლორენში მოწინააღმდეგე კვლავ იძულებული გახდა რამდენიმე სიმაგრე ჩაებარებინა. ლიონის სამხრეთ-დასავლეთით აღებულია ქალაქები: სენტ-ეტიენი და ანონე. სავოიაში ჩვენმა ჯარის ნაწილებმა სამთო მსროლელთა დახმარებით გაარღვიეს სხვადასხვა პუნქტებში პოზიციები, რომლებზედაც მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. საჰაერო ზვერვის დროს ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროზე ჩვენმა მზვერავმა და საბომბარდირო თვითმფრინავებმა წარმატებით მიიტანეს იერიში ინგლისის ტრანსპორტზე, რომლის ტონაჟი 5-6 ათას ტონას შეადგენდა. ჩრდილოეთის ზღვის სხვადასხვა რაიონებში მოეწყო აგრეთვე საზვერავი ფრენა. 24 ივნისს ღამით გერმანიის ყუმბარმშენთა შენაერთებმა საჰაერო თავდასხმა მოაწყეს ცენტრალურ ინგლისზე და ყუმბარები დაუშინეს აეროდრომებსა და საავიაციო ქარხნებს. გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ინგლისის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს სტავანგერის რაიონში. უკანასკნელ ღამეს ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ მოაწყეს საჰაერო თავდასხმა ჩრდილოეთსა და დასავლეთ გერმანიაზე მაგრამ სამხედრო ობიექტებს ზიანი ვერ მიაყენეს. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზენიტო არტილერიამ ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე ინგლისის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ბერლინი, 25 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკიდან შემდეგ ცნობას გადმოგვცემს: „24 ივნისს 19 საათსა და 15 წუთზე რომის მიდამოებში ხელი მოაწერეს იტალიასა და საფრანგეთს შორის დროებითი ზავის შეთანხმებას. 19 საათსა და 35 წუთზე ეს ოფიციალურად ეცნობა გერმანიის მთავრობას. ამის საფუძველზე ძალაში შედის გერმანიასა და საფრანგეთს შორის დროებითი ზავის ხელშეკრულება. გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სარდლობამ ბრძანება გასცა საფრანგეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. საომარი მოქმედება ორივე მხრივ სწყდება 25 ივნისს 7 საათსა და 35 წუთზე გერმანიის საზაფხულო დროით. ამრიგად ომი დასავლეთის ფრონტზე დამთავრდა“.

გერმანიასა და საფრანგეთს შორის დროებითი ზავის ხელშეკრულების შემსრულებელი კომისია

ბერლინი, 25 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის დროებითი ზავის ხელშეკრულების საფუძველზე ჰიტლერმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც ვისბადენში იმყოფება. დროებითი ზავის ხელშეკრულების შემსრულებელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ინფანტერიის გენერალი ფონ შტიულპნაგელი. კომისიის ამოცანაა კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების შესრულებას. გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას წინადადებით მიჰმართა დანიშნოს თავის მხრივ წარმომადგენელი დროებითი ზავის ხელშეკრულების შემსრულებელ კომისიაში.

საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას შორის დროებითი ზავის ჩამოგდებისათვის

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთი, გერმანია და იტალია ერთდროულად გამოაცხადებენ დროებითი ზავის პირობებს დაახლოებით 48 საათის შემდეგ, რაც საომარი მოქმედება შესწყდება.

საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკების გამო

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ როგორც მოელიან, იტალიის ჯარი საერთო საზავო ხელშეკრულების დადებამდე მაინც მოახდენს სავოიის და ნიცას ოკუპაციას. თუმცა დროებითი ზავის პირობები ჯერ გამოქვეყნებული არ არის, აღნიშნავს სააგენტო, მაგრამ ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ „მათ მოამზადეს ხელსაყრელი ნიადაგი იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას იტალიის თითქმის ყველა მოთხოვნა, იტალიისათვის ჯიბუტის, კორსიკის, ნიცისა და ტუნისის გადაცემის მოთხოვნაც“. იტალიური პრესა დიდრონი სათაურით იუწყება, „რომ იტალიელთა ბუნებრივი მოთხოვნები მალე დაკმაყოფილებულ იქნება“.

იტალიის ჯარმა საფრანგეთის რივიერა დაიკავა

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ იტალიის ჯარმა საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ 0 საათსა და 35 წუთზე გრინვიჩის დროით მოახდინა საფრანგეთის რივიერის ოკუპაცია. სამინისტრო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ბრძოლების დროს საფრანგეთის ჯარმა სერიოზული ზიანი მიაყენა იტალიელებს. არსებული ცნობების თანახმად საფრანგეთის მთავრობა მალე დაბრუნდება პარიზს.

გერმანიის ჯარის მოტორიზებული ნაწილები ეკო-ლე-ბენში შევიდნენ

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი) როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გერმანიის სატანკო და მოტორიზებული ჯარის ნაწილები ეკო-ლე-ბენში (სავოიის დეპარტამენტი) შევიდნენ.

იტალიის ჯარის ჩასვლა ალბანეთში

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იტალიის ჯარი ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში სკუტარში (ალბანეთი) გადაჰყავთ.

სამხრეთ აფრიკის კავშირის პარლამენტის ოპოზიციის მოთხოვნა

ლონდონი, 25 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იოჰანესბურგიდან იუწყება ოპოზიციის ლიდერებმა ჰერცოგმა და მალანმა გამოაქვეყნეს საერთო განცხადება, სადაც მოითხოვენ პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევას. ისინი ყველა თავიანთ მიმხრეს მოუწოდებენ შეჰკრიბონ საპროტესტო მიტინგები იტალიისათვის ომის გამოცხადების წინააღმდეგ, თუ წინასწარ პარლამენტის თანხმობა არ იქნება მიღებული, აგრეთვე მოითხოვონ სამხრეთ აფრიკის მთავრობისაგან ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

იტალიის ჯარის შესვლა ნიცასა და სავოიაში

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ოფიციალური ცნობის თანახმად იტალიის ჯარი შედის ნიცასა და სავოიაში.

გლოვის დღე საფრანგეთში

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ბორდოდან იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა 25 ივნისი გამოაცხადოს ეროვნული გლოვის დღედ.

გერმანია უარჰყოფს

ბერლინი, 25 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ კორესპონდენტის იმ ცნობის გამო, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტსა“ და ლონდონის გაზეთ „სანდეი დისპეტჩში“ იმის შესახებ, რომ ვითომც ჰიტლერი საფრანგეთთან შეთანხმების შემდეგ მოიწვევს ევროპის კონფერენციას ინგლისისა და რუსეთის მონაწილეობის გარეშე ევროპის ეკონომიური ბლოკის მოსაწყობად (როგორც ინგლის-ამერიკის ეკონომიური ბლოკის საწინააღმდეგო ღონისძიებას), გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ საქმეს გაცნობილი წრეების განცხადებით, ეს ცნობა არის ნაყოფი იმ ამერიკელი ჟურნალისტის ოცნებისა, რომელიც სენსაციას დაეძებს და ცდილობს ძირი გამოუთხაროს გერმანიის ურთიერთობას რუსეთსა და ამერიკის ქვეყნებთან.

---

100 წელი აკაკი წერეთლის დაბადებიდან

დამთავრდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი

დამთავრდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებისადმი. პლენუმის უკანასკნელი სხდომა შესდგა მწერალთა კლუბში—24 ივნისს დილით. დარბაზი სავსე იყო იუბილეში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული სტუმრებით, მწერლებით და თბილისის მშრომელებით.

პროფ. **მელიქსეთბეგმა** ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობაზე, რომელიც ძველთაგან მოდის და საუკეთესოდ არის ასახული აკაკის შემოქმედებაში. აკაკიმ სამი ლექსი უძღვნა გამოჩენილ სომეხ დრამატურგს სუნდუკიანცს. ორატორმა წაიკითხა აკაკის ლექსების საკუთარი თარგმანი სომხურ ენაზე.

პროფ. **ვ. კირპოტინმა** საქართველოს მშრომელებს გადასცა მოსკოვის მწერლებისა და სსრკ მწერალთა კავშირის მხურვალე სალამი. პროფ. ვ. კირპოტინმა ვრცელ სიტყვაში განიხილა აკაკის შემოქმედება და პარალელი გაატარა აკაკისა და ნეკრასოვს შორის. მან დაამტკიცა, რომ აკაკის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურისათვის, როგორიც ნეკრასოვს რუსეთისათვის.

ხ. პლიევმა (სამხრეთ-ოსეთი) წაიკითხა აკაკის ლექსის თარგმანი და საკუთარი ლექსი „აკაკი წერეთელი“.

საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა დოც. **ჯ. ნოღაიდელმა** (აჭარა), რომელმაც ხაზი გაუსვა აკაკის განსაკუთრებულ სიყვარულს წარსულში ორმაგად ჩაგრული აჭარლებისადმი, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დღეს ბედნიერად ცხოვრობენ და მღერიან აკაკის მომხიბვლელ ლექსებს.

სომეხმა პოეტმა ორდენოსანმა **ბაიანდურმა** წაიკითხა აკაკის ლექსების თარგმანები სომხურ ენაზე.

პოეტმა **გ. გიასელმა** (ქუთაისი) აკაკის შესახებ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ წაიკითხა საკუთარი ლექსი „სიმღერათა წიგნი“.

თარგმანები წაიკითხეს აგრეთვე სომეხმა პოეტებმა—**პოღოსიანმა** — „სიყვარული“ და „იავნანა“ და **გ. ბორიანმა**—„სიზმარი“.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსმა პოეტმა **ს. სპასკიმ**, რომელმაც წაიკითხა ნაწყვეტები „თორნიკე ერისთავიდან“. თარგმანი ოსტატურად არის გაკეთებული. პოეტმა **მ. ტარლოვსკიმ** წაიკითხა საკუთარი თარგმანი „ფუტკარი“ და ბრიკის თარგმანი. **კ. ლიპსკეროვმა** წაიკითხა „მუხამბაზის“ და „ციცინათელას“ თარგმანები.

მწერალთა კავშირის პლენუმი დაიხურა **ი. აბაშიძის** საბოლოო სიტყვით, რომელშიაც შეჯამებულ იქნა ჩატარებული მუშაობა. ოთხი ძირითადი მოხსენებით, აკად. ლუპოლისა და პროფ. ვ. კირპოტინის ვრცელი სიტყვებით, აკაკის ლექსების შესანიშნავი თარგმანების წაკითხვით პლენუმის მონაწილეთა წინაშე ფართოდ გადაიშალა დიდი ქართველი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის აკაკის მრავალფეროვანი შემოქმედება.

ზეიმი აკაკი წერეთლის სამშობლო სოფელში

(ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

საჩხერე, 25 ივნისი. საერთო ზეიმი, რომლითაც ჭიათურის და საჩხერის რაიონების მშრომელები შეხვდნენ დიდი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავის იუბილეს, ნათელი ილუსტრაციაა იმ სულიერი კავშირის სიმტკიცისა, რაც არსებობდა პოეტსა და ხალხს შორის.

დღეს, დილის 9 საათზე, მატარებელი, რომლითაც მიემგზავრებოდნენ სხვიტორში აკაკის საიუბილეო კომიტეტის წევრები, ქართველი მწერლები და მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები, შევიდა ჭიათურის სადგურში, სადაც თავი მოეყარათ სახელოვან მაღაროელებს, კოლმეურნეებს, მშრომელ ინტელიგენციას. სასულე ორკესტრის გუგუნით შეხვდნენ აქ მატარებელს. სახელდახელო მიტინგზე, რომელიც გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **გ. კიკნაძემ**, ჭიათურელ მშრომელებს მიესალმა პოეტი **ირაკლი აბაშიძე**.

მხურვალე სიტყვით მიმართა ჭიათურის სახელოვან მაღაროელებს აზერბაიჯანელმა მწერალმა **რაფილიმ**.

„ინტერნაციონალის“ გუგუნში მატარებელი დაიძრა საჩხერისაკენ. აქ სადგურზე თავი მოეყარა რაიონის მრავალ ათას მშრომელს, რომლებიც მიესალმნენ ჩვენი ქვეყნის მწერლებს. ხალხის მთლიანი მძლავრი ნაკადი დაიძრა სხვიტორისაკენ. გზადაგზა მათ უერთდებოდნენ კოლმეურნეთა კოლონები მახლობელი სოფლებიდან — სავანიდან, არგვეთიდან, ქორეთიდან, ჩიხიდან, კალუათიდან, საირხედან და სხვ. მოდიოდნენ პიონერები, მოსწავლე ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები და კაცები.

გზადაგზა გუნდები მღეროდნენ და ორკესტრები უკრავდნენ სახალხო პოეტის აკაკის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ნაშუადღევს 1 საათზე პოეტის ეზო-გარემო აივსო მრავალი ათასი მშრომელით. შუა ეზოში კაკლის ორი ხის შტოებზე გადაჭიმული იყო წითელი ფარჩა, რომელზედაც აღბეჭდილი იყო უკვდავი სიტყვები:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვსტირი მე“.

პოეტის სახლის ფასადი მორთული იყო ხალხთა დიდი ბელადის, დიდი **სტალინის** პორტრეტით და ჩვენი საამაყო მწერლების — აკაკის, შოთას, ილიას, შევჩენკოს და ყაზბეგის პორტრეტებით. მოზღვავებულმა ხალხმა აავსო ფერდობი, რომელიც დაჰყურებს პოეტის ეზოს.

ტრიბუნაზე ადიან ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ორდენოსანი მწერლები და კოლმეურნეები. მათ შორის არიან ამხ. გ. კიკნაძე, აკადემიკოსი ლუპოლი, შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია და სხვ.

მიტინგი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ბიწაძემ. მან აღნიშნა ის ნამდვილი სახალხო ზეიმი, რომლითაც საჩხერის მშრომელები შეხვდნენ აკაკის დაბადების ასი წლისთავს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ. მან აღნიშნა, რომ ცარიზმის სუსხიან პირობებში ქართველი ხალხის გამოღვიძებას უმღეროდა აკაკი, რომელიც ხალხს უნერგავდა პატრიოტიზმის გრძნობას და მშრომელთა სიყვარულს. აკაკი უყვარდა ხალხს ისევე, როგორც უყვარდა პოეტს ხალხი. მისი სანუკვარი ოცნება განხორციელებულია და საჩხერის მშრომელებს შეუძლიათ იამაყონ თავისი დიდებული შვილით.

ამხ. შალვა დადიანმა მიტინგზე გამოსვლისას აღნიშნა პოეტის დამსახურება ქართველ ხალხში თავისუფლების მოყვარეობის გრძნობის გაღვივების საქმეში. იმ კულტურის ნიადაგზე, რომლის ერთგული მუშაკიც აკაკი იყო, წარმოიშვა დიდი **სტალინი**, რომელმაც ხალხებს მოუტანა ბედნიერება. მხურვალე ოვაციებით ხვდებოდნენ მიტინგის მონაწილე კოლმეურნენი ორატორების განცხადებას, თუ როგორ ზრუნავენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის დიდი **სტალინი** და მისი ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი **ლ. ბერია**.

მგზნებარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ აკადემიკოსმა **ლუპოლმა** რომელმაც ხაზი გაუსვა კულტურის აყვავებას ჩვენში დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე — **ბ. ულენტი**, სომხეთის მწერალი **ბორიანი**, უზბეკი პოეტი **გაფურ გულიამი**, სამხრეთ-ოსეთის მწერალი **ჩოჩიევი**, კარელია-ფინეთის მწერალთა კავშირის სახელით **ბაზანოვი**, რომელსაც მიტინგის მონაწილენი მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ, როგორც ახლად შემოერთებული მოკავშირე რესპუბლიკის შვილს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა **რაფილიმ**.

აღტაცებით შეხვდნენ დამსწრე სხვიტორელები კოლმეურნე საჩინო გოშაძის გამოსვლას. მან სთქვა:

— სხვიტორის მშრომელებო, დღეს ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ ასეთი დიდება ხვდა წილად ჩვენ ღვიძლ შვილს, დიდ ქართველ პოეტს აკაკის. ახლა დავრწმუნდით, რომ ის მართლაც არ მომკვდარა, ცოცხალია.

მოგონებით გამოვიდა აგრეთვე სავანელი კოლმეურნე **ალფეზ ზენკლიშვილი**, რომლის სიტყვა გამსჭვალული იყო დიდი სტალინისადმი მადლობის გრძნობით. საჩხერისა და ჭიათურის რაიონების მშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმნენ **მეგრელაძე** და **მეცხოვრიშვილი**. აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა **თომაშვილმა**. **ალიო მაშაშვილმა** წაიკითხა აკაკის „განთიადი“. ლექსები წაიკითხეს აგრეთვე საჩხერის მოსწავლეებმა და პიონერებმა.

ტაშის გრიალსა და ოვაციებში მიტინგმა ერთხმად გადასწყვიტა და მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, რუსი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ **მოლოტოვს** და ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას**.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნათ აგრეთვე ამხანაგებს **კ. ჩარკვიანს** და **ვ. ბაქრაძეს**.

მიტინგის შემდეგ მთელ დღეს არ შეწყვეტილა სახალხო ზეიმი პოეტის სახლის ეზოში და მთელს სოფელში.

ბ. აბულაძე

ს ა ქ დ ე ს ი ს ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის ეკონომიური მოლაპარაკება კეთილსასურველად დამთავრდა და მოხდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა, სს კავშირის მთავრობამ და იუგოსლავიის სამეფოს მთავრობამ გადასწყვიტეს დაამყარონ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა და ამ მიზნით დანიშნონ დიპლომატიური წარმომადგენლები.

სსრ კავშირის მთავრობამ სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნა ამხ. ვიქტორ ანდრიას-ძე პლოტნიკოვი, რომელსაც იუგოსლავიის მთავრობამ მისცა აგრემანი, ხოლო იუგოსლავიის მთავრობამ დესპანად მოსკოვში დანიშნა ბ-ნი მილან გავრილოვიჩი, რომელსაც აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობამ მისცა აგრემანი.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ვ. ა. პლოტნიკოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იუგოსლავიაში, გაათავისუფლა რა იგი სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ნორვეგიაში.

გერმანიასა და საფრანგეთს შორის დადებული დროებითი ზავის პირობები

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი აქვეყნებს დროებითი ზავის შემდეგს პირობებს, რომლებიც გერმანიის მთავრობამ წარუდგინა საფრანგეთის მთავრობას.

მუხლი 1-ლი. საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. უკვე გარშემორტყმულმა საფრანგეთის ჯარმა იარაღი უნდა დაჰყაროს.

მუხლი მე-2. გერმანიის ინტერესების უზრუნველსაყოფად გერმანია ახდენს იმ ტერიტორიის ოკუპაციას, რომელიც მდებარეობს ქვემოჩამოთვლილ პუნქტებზე გამავალი ხაზის ჩრდილოეთით და დასავლეთით: ჟენევა, დოლი, შალონი (სონაზე), პარე-ლე-მონიალი, მულენი, ბურჟი, ვიერზონი, შემდეგ ტურის აღმოსავლეთით 20 კილომეტრზე მდებარე პუნქტი, შემდეგ სამხრეთისაკენ იმ რკინიგზის პარალელურად, რომელიც ანგულემიდან მონდე-მარსანისა და სენ ჟან-პიე-დე პორისაკენ მიდის. ამ ტერიტორიაში შემავალი რაიონები, რომლებიც ჯერ კიდევ ოკუპირებული არ არიან, ოკუპირებულ უნდა იქნან ამ შეთანხმების დადებისთანავე.

მუხლი მე-3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანია უნდა სარგებლობდეს ოკუპაციის მომხდენი სახელმწიფოს ყველა უფლებით, გარდა ადგილობრივი მართვა-გამგეობისა. საფრანგეთის მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს ამისათვის ყველა საჭირო პირობა. გერმანია დიდ ბრიტანეთთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მინიმუმამდე შეამცირებს დასავლეთ სანაპიროზე ოკუპირებულ ტერიტორიას. საფრანგეთის მთავრობას შეუძლია თავის შეხედულებისამებრ აირჩიოს რეზიდენცია არაოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან გადავიდეს კიდევაც პარიზს, თუ კი ამას მოისურვებს. თუ საფრანგეთის მთავრობა პარიზს გადასვლას გადასწყვეტს, გერმანია საჭირო პირობებს შეუქმნის მას როგორც ოკუპირებული, ისე არაოკუპირებული ტერიტორიის მართვა-გამგეობისათვის.

მუხლი მე-4. საფრანგეთის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები დემობილიზებულ და განიარაღებულ უნდა იქნას იმ ვადაში, რომელიც დადგენილი იქნება დამატებით, გარდა იმ ჯარისა, რომელიც საჭიროა წესრიგის დასაცავად. ამ ჯარის რაოდენობა და შეიარაღება შესაბამისად იქნება განსაზღვრული გერმანიისა და იტალიის მიერ. საფრანგეთის ის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან არაოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანილი და დემობილიზებული უნდა იქნას. ამ ჯარმა წინასწარ უნდა დაჰყაროს იარაღი იმ ადგილებში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ დროებითი ზავის დადების მომენტში.

მუხლი მე-5. გერმანიას შეუძლია გარანტიად მოითხოვოს, რათა მას კარგ მდგომარეობაში ჩაჰბარდეს მთელი არტილერია, ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, სამხედრო თვითმფრინავები, ქვეითი ჯარის საჭურველი, ტრაქტორები და საომარი მასალა, რაც არასაოკუპაციო ტერიტორიაზე იმყოფება. გერმანია განსაზღვრავს, თუ რა ოდენობით უნდა გადაეცეს მას ეს საჭურველი.

მუხლი მე-6. არაოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული მთელი საჭურველი და სამხედრო მასალა, რომელიც ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა განკარგულებაში არა რჩება, მოთავსებულ უნდა იქნას საწყობებში, რასაც კონტროლს გაუწევენ გერმანია ან იტალია. არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ახალი სამხედრო მასალის წარმოება შეწყვეტილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ.

მუხლი მე-7. ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სახმელეთო და სანაპირო სიმაგრეები, მთელი საჭურველითურთ გადაცემულ უნდა იქნას კარგ მდგომარეობაში. სიმაგრეთა ყველა გეგმა და დაწვრილებითი ცნობები ნაღმებისა და ღობურების განლაგების შესახებ გერმანიას უნდა გადაეცეს.



მუხლი მე-8. საფრანგეთის მთელი ფლოტი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც საფრანგეთს დარჩება კოლონიებში საფრანგეთის ინტერესების უზრუნველსაყოფად, თავმოყრილ უნდა იქნას საამისოდ დანიშნულ ნავსადგურებში გერმანიისა და იტალიის კონტროლით დემობილიზაციისა და განიარაღების მოსახდენად. გერმანიის მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას განზრახვა არა აქვს თავისი საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენოს ომის განმავლობაში საფრანგეთის ფლოტი, რომელიც ნავსადგურებში იდგება გერმანიის კონტროლქვეშ, გარდა იმ გემებისა, რომლებიც საჭიროა სანაპირო სამსახურისათვის და ნაღმების ამოსაღებად. ფლოტის იმ ნაწილის გარდა, რომელიც განკუთვნილი იქნება კოლონიური ინტერესების დასაცავად და რომლის რაოდენობა ჯერ კიდევ უნდა დაწესდეს, საფრანგეთის ტერიტორიული წყლების გარეთ მყოფი ყველა დანარჩენი გემი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოწვეული საფრანგეთში.

მუხლი მე-9. გერმანიას უნდა გადაეცეს მთელი ცნობები ჩაყრილი ნაღმებისა და საზღვაო სიმაგრეთა შესახებ. ნაღმების ამოღება საფრანგეთის ძალების მიერ უნდა გაგრძელდეს.

მუხლი მე-10. საფრანგეთის მთავრობამ არ უნდა მიჰმართოს არავითარ მტრულ მოქმედებას იმ შეიარაღებული ძალების საშუალებით, რომლებიც მას რჩება. საფრანგეთმა არ უნდა გადასცეს ინგლისს არავითარი მატერიალური ნაწილი. არცერთი ფრანგი არ უნდა იმყოფებოდეს სხვა სახელმწიფოთა სამსახურში გერმანიის წინააღმდეგ.

მუხლი მე-11. საფრანგეთის არცერთმა სავაჭრო გემმა არ უნდა დასტოვოს ნავსადგური. სავაჭრო ნაოსნობა შეიძლება განახლებულ იქნას მხოლოდ გერმანიისა და იტალიის მთავრობათა წინასწარი ნებართვით. საფრანგეთის გარეთ მყოფი სავაჭრო გემები გამოწვეული იქნებიან, ან, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ნეიტრალურ ნავსადგურებში შევლენ.

მუხლი მე-12. საფრანგეთის არცერთი თვითმფრინავი არ უნდა აფრინდეს ჰაერში. აეროდრომები უნდა იმყოფებოდნენ გერმანიის ან იტალიის კონტროლქვეშ. უცხოეთის ყველა თვითმფრინავი, რომლებიც არაოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება, გერმანიის ხელისუფლებას უნდა გადაეცეს.

მუხლი მე-13. ყველა დაწესებულება, მატერიალური ნაწილი და საწყობები ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადმოცემულ უნდა იქნას დაუზიანებლად და სრულ წესრიგში. ნავსადგურები, მუდმივი სიმაგრეები, სამხედრო-საზღვაო გემთსაშენები გადმოცემულ უნდა იქნას იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ისინი ამჟამად იმყოფებიან, ისე რომ არ იქნან დანგრეული ან გაფუჭებული. ეს შეეხება მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის ყოველგვარ საშუალებასაც, კერძოდ, რკინიგზებსა და გზატკეცილებს, არხებს, სატელეფონო და სატელეგრაფო ქსელებს, სანავიგაციო და სანაპირო ნიშნებს. გადმოცემულ უნდა იქნას აგრეთვე მათი რემონტისათვის საჭირო მასალებიც.

მუხლი მე-14. საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა რადიოგადამცემი სადგური უნდა დაიხუროს.

მუხლი მე-15. საფრანგეთის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანიასა და იტალიას შორის საქონლის გადაზიდვას არაოკუპირებულ ტერიტორიაზე გავლით.

მუხლი მე-16. საფრანგეთის მთავრობამ უნდა დააბრუნოს მოსახლეობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

მუხლი მე-17. საფრანგეთის მთავრობამ თავიდან უნდა აიცილოს ფასეულობათა და მარაგის გატანა ოკუპირებული ტერიტორიიდან არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ.

მუხლი მე-18. გერმანიის საოკუპაციო არმიის შენახვის ხარჯები საფრანგეთმა უნდა იკისროს.

მუხლი მე-19. გერმანიის ყველა სამხედრო ტყვე განთავისუფლებულ უნდა იქნას. საფრანგეთის მთავრობამ გერმანიას უნდა გადმოსცეს გერმანიის ყველა ქვეშევრდომი, რომლებსაც გერმანიის მთავრობა მიუთითებს და რომლებიც ამჟამად საფრანგეთში ან მის ზღვისიქითა სამფლობელოებში იმყოფებიან.

მუხლი მე-20. ყველა ფრანგი სამხედრო ტყვე, რომლებიც გერმანიის ხელში იმყოფებიან, იქ დარჩებიან ზავის დადებამდე.

მუხლი მე-21. ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ გერმანიისათვის გადასაცემი მთელი მატერიალური ნაწილის დაცვას.

მუხლი მე-22. გერმანიის მიერ დროებითი ზავის დასადებად დანიშნულმა კომისიამ უნდა განახორციელოს დროებითი ზავის პირობები, რაც შეთანხმებული იქნება საფრანგეთ-იტალიის დროებითი ზავის პირობებთან.

მუხლი მე-23. დროებითი ზავი ძალაში შევა მაშინვე, როგორც კი საფრანგეთის მთავრობა ასეთსავე შეთანხმებას დასდებს იტალიის მთავრობასთან. საომარი მოქმედება შესწყდება 6 საათის შემდეგ იმ დროიდან, როცა იტალიის მთავრობა განაცხადებს, რომ ეს შეთანხმება დადებულია. გერმანიის მთავრობა ამას რადიოთი გამოაქვეყნებს.

მუხლი მე-24. ეს დროებითი ზავი ძალაში იქნება საზავო ხელშეკრულების დადებამდე და შეიძლება დარღვეულ იქნას ყოველ მომენტში, თუ საფრანგეთის მთავრობა არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

დღეს ლონდონში შეიტყეს, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეიტანა ზოგიერთი შედარებით მცირემნიშვნელოვანი ცვლილება, რომელთაგან ზოგიერთი მიღებულია, ზოგიერთი კი უარყოფილია. მაგრამ დროებითი ზავის პირობები ძირითადად უცვლელი რჩება ისე, როგორც მოყვანილია ზემოთ.

საფრანგეთის რწმუნებულთა ჩასვლა რომში

ბერლინი, 23 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ „დღეს საფრანგეთის რწმუნებულნი სამი თვითმფრინავით ჩავიდნენ რომის აეროდრომზე. ჩასვლისთანავე დროებითი ზავის დამდები კომისია დაუყოვნებლივ გაემგზავრა 3 ავტომობილით ულხობ ვილაში, სადაც ერთი საათის შემდეგ დაიწყება მოლაპარაკება იტალიასთან დროებითი ზავის დადების შესახებ".

იტალიამ გადასცა დროებითი ზავის პირობები

ბორდო, 23 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დღეს 19 საათსა და 30 წუთზე იტალიის რწმუნებულებმა საფრანგეთის რწმუნებულებს გადასცეს დროებითი ზავის პირობები.

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იტალიის მხრივ მოლაპარაკებაში დროებითი ზავის შესახებ მონაწილეობას იღებენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო, გენერალური შტაბის უფროსი მარშალი ბადოლიო, სამხედრო-საზღვაო ძალთა შტაბის უფროსი ადმირალი კავანიარი, სახმელეთო ძალთა შტაბის უფროსი გენერალი როატა და სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის უფროსი გენერალი პრიკოლო.

საომარი მოქმედების შეწყვეტა დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 24 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ 24 ივნისს დღისით ხელმოწერილ იქნა შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ იტალიასა და საფრანგეთს შორის. გერმანიის მთავრობას ამის შესახებ ეცნობა 19 საათსა და 35 წუთზე იტალიისა და გერმანიის საზაფხულო დროით. საომარი მოქმედება შეწყდება 25 ივნისს 1 საათსა და 35 წუთზე.

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს იტალიის მიერ წარმოდგენილი დროებითი ზავის პირობები

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბორდოდან იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს იტალიის მიერ წარმოდგენილი დროებითი ზავის პირობები. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე.

პეტენის მოლაპარაკება ჰიტლერთან

ნიუ-იორკი, 24 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბორდოდან იუწყება, პეტენი ჰიტლერთან აწარმოებს მოლაპარაკებას სენის დეპარტამენტიდან გერმანიის ჯარის გაყვანისა და პარიზში საფრანგეთის მთავრობის დატოვების შესახებ.

ჰიტლერის პასუხი პეტენისადმი

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პეტენის შეკითხვის პასუხად ჰიტლერმა მას დეპეშა გაუგზავნა, სადაც აცნობებს, რომ გერმანიის ჯარი მანამდე არ შევა ბორდოში, სანამ სწარმოებს საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

რომი, 24 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ როგორც საფრანგეთის ოფიციოზური სააგენტო გადმოგვცემს ბორდოდან, „გუშინ შესდგა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა ლებრენის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე ლავალი და მარკე დაინიშნენ უპორტფელო მინისტრებად".

ინგლისის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, საღამოს, ლონდონიდან რადიოთი გადმოსცეს ფრანგულ ენაზე ინგლისის მთავრობის შემდეგი განცხადება:

„ინგლისის მთავრობის აზრით, გერმანიასა და საფრანგეთს შორის ახლახან ხელმოწერილი შეთანხმება დროებითი ზავის პირობების შესახებ წარმოადგენს მოკავშირეთა მთავრობებს შორის წინათ საჯაროდ დადებულ შეთანხმებათა დარღვევას და მტრისადმი სავსებით დამორჩილებულის მდგომარეობაში აყენებს ბორდოში მყოფ საფრანგეთის მთავრობას, რის გამო იგი შემდეგში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის ხალხის წარმომადგენელ მთავრობად. ამიტომ ინგლისის მთავრობა ამჟამად აცხადებს, რომ მას ამიერიდან არ შეუძლია დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობად ჩასთვალოს პეტენის მთავრობა. ინგლისის მთავრობამ ცნობა მიიღო წინადადებითურთ საფრანგეთის დროებითი ნაციონალური კომიტეტის შედგენის შესახებ, რომელიც სავსებით იქნება წარმომადგენელი საფრანგეთის დამოუკიდებელი ელემენტებისა, რომელთაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ომი საფრანგეთის საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების მიზნით. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ იგი სცნობს საფრანგეთის ამ დროებით ნაციონალურ კომიტეტს და კონტაქტი ექნება მასთან ყველა საკითხზე ომის განგრძობის შესახებ, სანამ ეს კომიტეტი საფრანგეთის ყველა იმ ელემენტთა წარმომადგენლად დარჩება, რომელნიც მზად არიან განაგრძონ ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ".

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება შემდეგ, გენერალმა დე გოლმა (სამხედრო მინისტრის ყოფილი მოადგილე რეინოს რეორგანიზებულ კაბინეტში) ჯერ კიდევ ინგლისის მთავრობის ამ განცხადებამდე წარმოსთქვა სიტყვა რადიოთი ლონდონში და განაცხადა, რომ „ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით შეიქმნება საფრანგეთის დროებითი ნაციონალური კომიტეტი. ეს კომიტეტი განაგრძობს გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას და ხელს შეუწყობს მოკავშირეთა სამხედრო ღონისძიებებს, სანამ მიღწეული არ იქნება სრული გამარჯვება. ნაციონალური კომიტეტის შემადგენლობა დაუყოვნებლივ იქნება გამოცხადებული".

ჩერჩილის განცხადება

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ, საღამოს, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მთავრობის სახელით გამოაქვეყნა განცხადება.

ამ განცხადებაში ჩერჩილი აღნიშნავს: „ინგლისის მთავრობა გულისტკივილისა და გაკვირვების გრძნობით შეხვდა იმ ამბავს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გერმანიის პირობები მიიღო".

ინგლისის მთავრობის აზრით, — განაცხადა ჩერჩილმა, — „ასეთი პირობების მიღება არ შეეძლო საფრანგეთის არცერთ თავისუფალ, დამოუკიდებელ და კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილ მთავრობას".

საფრანგეთის მიერ გერმანიის საზავო პირობების მიღება, — განაგრძობს ჩერჩილი, — საშუალებას მისცემს გერმანიას საფრანგეთის მთელი ტერიტორია, აგრეთვე საფრანგეთის იმპერიის რესურსები და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი გამოიყენოს საფრანგეთის მოკავშირეზე თავდასხმისათვის. შემდეგ ჩერჩილი აცხადებს: „რაც უნდა მოხდეს, ინგლისის მთავრობა საბოლოო გამარჯვებამდე განაგრძობს ომს ზღვაში, ჰაერში და ხმელეთზე".

დასასრულ ჩერჩილმა მოწოდებით მიჰმართა ფრანგებს, „რომელნიც მტრის მორჩილებაში არ იმყოფებიან, დაეხმარონ ინგლისს".

პეტენის გამოსვლა ჩერჩილის განცხადების გამო

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მარშალმა პეტენმა, რომელიც გუშინ რადიოთი გამოვიდა, განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა უდიდესი გაოცებით შეხვდა ჩერჩილის განცხადებას. „ჩვენ გვესმის ჩერჩილის მწუხარება. ჩერჩილი ინგლისისათვის სწუხს. იგი ხელმძღვანელობს ინგლისის ინტერესებით და არა საფრანგეთის ინტერესებით, რომლის ღირსებაც არ შელახულა. ჩვენს დროშას ლაქა არ მოსცხებია. ჩვენი ჯარი მამაცურად და ლოიალურად იბრძოდა. იარაღის ნაკლებობამ და მტრის რიცხვობრივმა უპირატესობამ გვაიძულა გვეთხოვა ომის შეწყვეტა. ვერაფერი ვერ გასთიშავს ჩვენს ქვეყანას მისი ტანჯვის მომენტში. საფრანგეთს არც თავისი ძალღონე დაუზოგავს და არც თავისი სისხლი".

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ბორდოდან წასვლა

ნიუ-იორკი, 25 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა დასტოვოს ბორდო. ჯერჯერობით არ იციან, თუ საფრანგეთის მთავრობას სად ექნება ახალი ადგილსამყოფელი, ვიდრე პარიზში გადასვლის საკითხი მოწესრიგდებოდეს.

ვ. ხრუსტოვი

სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა

(საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობის 10 წლისთავი)

ათი წლის წინათ, 1930 წლის 26 ივნისს, შეიკრიბა ბოლშევიკური პარტიის XVI ყრილობა, მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა.

XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე განვლილ პერიოდში ლენინურ-სტალინურმა პარტიამ განვლო ბრძოლების და გამარჯვებების უდიდესი ისტორიული გზა. სოციალისტური მშენებლობის ეს გამარჯვებანი შეაჯამა ამხანაგმა **სტალინმა** XVI ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე განვლილი პერიოდი იყო გარდატეხის პერიოდი როგორც კაპიტალისტური სამყაროსათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის. სსრ კავშირისათვის იგი ნიშნავდა სოციალისტური მშენებლობის მზარდ აღმავლობას მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც; კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ამ პერიოდში გარდატეხა მოხდა ეკონომიური დაქვეითების მხრივ.

○

პარტიის XVI ყრილობაზე მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მარქსისტული ანალიზი. მან გვიჩვენა, რომ კაპიტალისტური მეურნეობა იმყოფება ეკონომიური კრიზისის ხანაში, რომელმაც შესცვალა კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია.

უკეთებდა რა ანალიზს გამწვავებულ წინააღმდეგობებს იმპერიალიზმის ბანაკში, ამხანაგი **სტალინი** გვაფრთხილებდა, რომ გაძლიერდა ახალი იმპერიალისტური ომისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის საშიშროება. რეაქციული, კაპიტალისტური ქვეყნები ცდილობდნენ თავიანთ წინააღმდეგობათა გადაწყვეტას სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის მოწყობით. სსრ კავშირზე თავდასხმის მუქარის ინიციატორი მაშინ იყო ყველაზე აგრესიული, ყველაზე მილიტარისტული ქვეყანა—ბურჟუაზიული საფრანგეთი. სსრ კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტთა აგრესიულობის გაძლიერებამ გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ პროვოკაციულ აქტებში და სსრ კავშირის უფლებათა უხეშ დარღვევაში კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ.

ამ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ იცავდა მშვიდობიანობის საქმეს, გადაჭრით სპობდა ყველა პროვოკაციულ ცდას ჩვენთვის თავს მოეხვიათ ომი. ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით სოციალიზმის მტრებმა და ომის ყველა გამჩაღებელმა ვერ მოახერხეს სსრ კავშირის ჩათრევა ომში. ამაში მდგომარეობდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებათა უმნიშვნელოვანესი შედეგი თავისი საგარეო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.

ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ ერთი წუთითაც არ დაგვევიწყნა კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ.

„კაპიტალისტური გარემოცვა უბრალო გეოგრაფიული ცნება როდია, — ამბობდა ამხანაგი სტალინი. — კაპიტალისტური გარემოცვა — ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის გარშემო არიან მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ ჩვენს კლასობრივ მტრებს საბჭოთა კავშირის შიგნით მორალურადაც, მატერიალურადაც, ფინანსიური ბლოკადის გზითაც, და, თუ შემთხვევა იქნება, სამხედრო ინტერვენციის გზითაც". („ლენინიზმის საკითხები", მე-10 გამოც., გვ. 458).

განვლილი ათი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა, პარტიის ბრძნული სტალინური პოლიტიკის მეოხებით, გადაიქცა სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც თავს ატეხენ ომის გამჩაღებელნი. საბჭოთა კავშირმა ცხადჰყო თავისი უძლეველი ძლიერება იაპონიის სამხედრო ხროვასთან ბრძოლებში, რომელმაც გაბედა საბჭოთა საზღვრების ხელყოფა, პოლონელი პანების უღლისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის თვისტომი ძმების განთავისუფლების დროს და ფინეთის თეთრგვარდიელებთან ომში.

○

XVI ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა **სტალინმა** შეაჯამა იმ დიად გამარჯვებათა შედეგები, რომლებიც მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე, გვიჩვენა ის ძირეული გარდაქმნები, რომლებიც მოხდა სსრ კავშირის ეკონომიკაში.

ეს გამარჯვებანი განსაკუთრებით განსაცვიფრებელი იყო იმ ღრმა ეკონომიური კრიზისის ფონზე, რომელიც არყევდა კაპიტალისტურ სამყაროს.

რამდენიმე მოკლე ფრაზით ამხანაგმა სტალინმა დაგვიხატა პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევათა სურათი:

„წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც ახლა მეფობს ეკონომიური **კრიზისი და მზარდი უმუშევრობა,** ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის **მზარდი აღმავლობის** და უმუშევრობის **პროგრესიული შემცირების** სურათს. გაიზარდა მსხვილი მრეწველობა და მან დააჩქარა თავისი განვითარების ტემპები. გამაგრდა მძიმე მრეწველობა. მრეწველობის სოციალისტურმა სექტორმა დიდად წაიწია წინ. გაიზარდა ახალი ძალა სოფლის მეურნეობაში — საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. თუ ორი წლის წინათ ჩვენ გვქონდა მარცვლეულის წარმოების კრიზისი და პურის დამზადების საქმეში უმთავრესად ვეყრდნობოდით ინდივიდუალურ მეურნეობას, ახლა სიმძიმის ცენტრი გადავიდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო მარცვლეულის კრიზისი ძირითადად გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს. გლეხობის ძირითადმა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი კოლმეურნეობებისაკენ. კულაკების წინააღმდეგობა მოგერიებულია. საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა უფრო მეტად განმტკიცდა" (იქვე, გვ. 428).

სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდა ჩვენში სწარმოებდა არა სტიქიურად, არამედ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის განხორციელების ნიშნით, აგრარულიდან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის ნიშნით.

1929-1930 წელს მრეწველობის ხვედრითმა წონამ მთელი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში პირველად გადააჭარბა სოფლის მეურნეობის ხვედრს (53 პროცენტი ნაცვლად 47 პროცენტისა). ამგვარად, მრეწველობის ხვედრითი წონა თანდათან მატულობდა სოფლის მეურნეობის ხვედრითს წონასთან შედარებით. ინდუსტრიალიზაციის წარმატებათა მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენდა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების (ესე იგი მძიმე მრეწველობის) წარმოების ხვედრითი წონის ზრდა მრეწველობის საერთო პროდუქციაში.

„ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება, — აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა, — მიდის ინდუსტრიალიზაციის ნიშნით, ჩვენი საკუთარი მძიმე მრეწველობის განმტკიცებისა და განვითარების ნიშნით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე წამოვწიეთ და უფრო ვავითარებთ ჩვენი ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძველს, ჩვენს მძიმე ინდუსტრიას" (იქვე, გვ. 432).

თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, როგორ დაამარცხა პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ მემარჯვენე კაპიტულანტების პორაჟენცული შეხედულებანი ლოზუნგის — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში" განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. შესაძლებლობა რეალური აღმოჩნდა. შესაძლებლობა ხუთწლედის შესრულებისა არა მარტო ოთხ წელიწადში, არამედ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში სამ და ორნახევარ წელიწადშიც (ნავთი, ტორფი, ტრაქტორების წარმოება, საერთო მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა).

ყრილობამ მოისმინა ამხ. კუიბიშევის მოხსენება მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ და დასახა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების ძირითადი პრობლემები, რომლებიც დამუშავებულია ამხანაგ სტალინის მოხსენებაში: სსრ კავშირში მრეწველობის სწორი გეოგრაფიული განლაგების პრობლემა (უკრაინის ქვანახშირ-მეტალურგიული ბაზის განვითარებასთან ერთად მეორე, ურალ-კუზნეცკის ქვანახშირ-მეტალურგიული ბაზის შექმნა); კადრების პრობლემა, რომელიც მეტად აქტუალური გახდა როგორც სახალხო მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით, ისე გამოძლიერებულ მშენებლობასთან დაკავშირებით; პრობლემა შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისა, რის გარეშეც შეუძლებელი იყო რეკონსტრუქციის ამოცანის გადაჭრა; მომარაგების, კრედიტისა და ფულის მიმოქცევის პრობლემა. გარდა ამისა ყრილობამ დააყენა კონკრეტული ამოცანები მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების დარგში.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალიზმის რესტავრატორებთან, სოციალიზმის ყველა მტრებთან.

○

„... სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია ჩვენში, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში XVI ყრილობაზე, — ჩვენში არ ამოიწურება მარტო მისი ტექნიკური ბაზის გარდაქმნით, არამედ, პირიქით, მოითხოვს ამასთანავე სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნასაც. მე მხედველობაში მაქვს აქ, უმთავრესად, სოფლის მეურნეობა" (იქვე, გვ. 457).

პარტიის XVI ყრილობამ სპეციალურად განიხილა საკითხი საკოლმეურნეო მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ. 1929 წელი იყო დიადი გარდატეხის წელი სოფლის მეურნეობის დარგშიც. ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ფართო ფენებმა პირი იბრუნეს კოლმეურნეობებისაკენ, მსხვილი კოლექტიური წარმოებისაკენ. საკოლმეურნეო მოძრაობაში ახალი და გადამწყვეტი იყო ის, რომ კოლმეურნეობებში იწყო შესვლა საშუალო გლეხმა. ღარიბი და საშუალო გლეხები შედიოდნენ კოლმეურნეობებში მთელი სოფლობით, რაიონობით და ოლქობითაც კი. კოლმეურნეობებისაკენ ღარიბი გლეხობის მობრუნება ნიშნავდა გადამწყვეტ ნაბიჯს სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენების საქმეში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფართო გაქანება იყო შედეგი გლეხობის მიმართ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინასწარი ლენინურ-სტალინური პოლიტიკისა.

პარტიის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენდა ის, რომ მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების მშენებლობასთან ერთად გაძლიერებით სწარმოებდა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. პარტია ცდილობდა განედევნა კულაკური მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია და შეეცვალა მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედების პროდუქციით. საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკამ გააცამტვერა ყველა მემარჯვენე-რესტავრატორული „თეორია".

ამხანაგმა **სტალინმა** გადაგვიშალა კულაკობის შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკიდან მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ მობრუნების დედაარსი. მან ბრწყინვალედ გვიჩვენა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების უპირატესობა წვრილ, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.

ამხანაგმა **სტალინმა** ყრილობაზე წამოაყენა სოფლის მეურნეობის ახალი ამოცანები, განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრას. ყრილობამ აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი გაშლა შეიძლება განხორციელდეს საკოლმეურნეო მოძრაობის შემდეგი ძირითადი მარქსისტულ-ლენინური პრინციპების სრული დაცვით: 1) კოლმეურნეობები შეიძლება მოწყობილ იქნან მხოლოდ ნებაყოფლობითს საფუძველზე; 2) კოლმეურნეობათა ძირითად ფორმას განვითარების მოცემულ სტადიაში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი; 3) კოლმეურნეობის ფორმა (მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა, სასოფლო-სამეურნეო არტელი) უნდა შეესაბამებოდეს რაიონის სამეურნეო თავისებურებებს და მეურნეობის დარგს; 4) სასოფლო-სამეურნეო არტელიდან კომუნაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს გადიდებული ტექნიკური ბაზის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბავშვთა შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა

ბავშვთა შემოქმედების საქართველოს პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. სურათზე: ქისტაური სახალხო ცეკვის შემსრულებლები თელავის რაიონიდან (მარცხნიდან) — ბ. გაურგაშვილი, ძ. ჭანგოშვილი, მ. მარგოშვილი, ტ. ბორჩაშვილი და რ. კაცტარაშვილი.
საქდესის ფოტოქრონიკა

მზიური აჭარის პიონერები

ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებს აჭარის ასს რესპუბლიკის 80 ფრიადოსანი მოსწავლე. ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელებს ისინი უჩვენებენ მონტაჟს თემაზე „აჭარა წარსულში და ახლა“.

მონტაჟი იწყება დეკლამაციით იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა აჭარა წარსულში, თუ როგორ გაჩაღდა რევოლუციური ბრძოლები ბათუმში, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. დეკლამაცია მთავრდება საყვარელი ბელადისადმი მიძღვნილი საგუნდო კანტატით, რომელიც სტალინური ეპოქის ბედნიერ ცხოვრებას უმღერის:

„სიხარულის ღვრად მოდის ეს
დღეები თბილი,
ეს უნახავს, სად და როდის
ყოფნა ასე ტკბილი“.

შემდეგ მაყურებლის წინაშე გადაიშლება აჭარა, როგორც ციტრუსოვან და სუბტროპიკულ კულტურათა ქვეყანა, ამ ფონზე გაშლილი სოციალისტური შრომის პროცესები, გამოხატულნი სცენიურ სახეებსა და მუსიკაში.

მონტაჟი შეიცავს აგრეთვე აჭარელთა მზადყოფნის თემას სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. იგი გამოიხატება მასობრივი ხორუმით, რომელშიც მონაწილეობს 21 კაცი.

მონტაჟის დამდგმელია აჭარის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი ამხ. ა. ჩხარტიშვილი; მუსიკა ეკუთვნის აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, კომპოზიტორ ა. ფარცხალაძეს, ცეკვები — გ. დოლიძეს.

შ. ა.

ხევსური ახალგაზრდები ოლიმპიადაზე

15 და 16 მაისს დუშეთში გაიმართა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა. ამ ოლიმპიადის საინტერესო მოვლენად გადაიქცა ბარისახოდან დუშეთში ჩასულ ხევსურ ბავშვთა ჯგუფის გამოსვლა. ხევსურმა ბავშვებმა რაიონულ ოლიმპიადაზე გვიჩვენეს ძველი და ახალი ხევსურული ფარიკაობა. ძველსა და ახალ ფარიკაობას შორის განსხვავებაა. ძველი ფარიკაობა საბრძოლო ხასიათისაა და მას ხშირად მოჰყვება ხოლმე მოფარიკავეთა მსუბუქი დაჭრა. ახალი ფარიკაობა სპორტულ საბრძოლო ვარჯიშის ხასიათს ატარებს.

რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს 6 ხევსური ბავშვი. მათ შორის ორი მოლექსეა — გელა ლიქოკელი და მიხეილ შინჯარაული. დანარჩენი 4 ბავშვი, რომლებიც ხევსურულად იქნებიან ჩაცმულნი, მაყურებლებს უჩვენებენ ფარიკაობას. ხევსურ ბავშვთა ფარიკაობა საინტერესო სანახაობას წარმოადგენს.

ი. პავლიაშვილი

„ინსცენირება კოლხიდაზე“

„ინსცენირება კოლხიდაზე“—ასეთია თემა ფოთის ბავშვების გამოსვლისა ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

სცენაზე ბავშვები მოაწყობენ ძველისა და ახალი კოლხიდის დაპირისპირებას. ნაჩვენები იქნება ჭაობების ამოშრობა და კოღოების წინააღმდეგ ბრძოლა. ინსცენირებაში გააზრებულია მომღერალთა გუნდის გამოსვლა, რომელიც შეასრულებს მეგრულ ხალხურ სიმღერებს, შეასრულებენ საცეკვაო „არირას“, „ძაბრალეს“ და აფხაზურ საცეკვაოს. გარდა ამისა პროგრამაშია დეკლამაცია, ცეკვა და თამაში.

ფოთის დელეგაციაში ყველა შემავალი ბავშვი გაერთიანებულია ფოთის პიონერთა სახლის თვითმოქმედ წრეებში.

ქისტი მოსწავლეები ოლიმპიადაზე

თელავის რაიონიდან ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმოდგენილია სოფელ დუისის, ჯოყოლოს და წინანდლის საშუალო სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც პირველობა მიიღეს თელავის რაიონის ბავშვთა ოლიმპიადაზე.

გუნდი შესდგება 12 მოცეკვავისა და 2 მომღერალისაგან. „ურმულს“ შეასრულებს წინანდლის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე დ. ანტონოვა, „ოროველას“, კი — თელავის სამედიცინო ტექნიკუმის მოსწავლე თ. სარაჯიშვილი.

ამასთანავე შესრულებულ იქნება ქისტური ნაციონალური მასობრივი ცეკვები.

გუნდის ხელმძღვანელია აბდულა ალდამოვი, ქისტური ეროვნული მასობრივი ცეკვების ოსტატი.

ქუთაისელი ბავშვები ოლიმპიადაზე

ქუთაისის საქალაქო ოლიმპიადაზე 600-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა. საუკეთესო მაჩვენებლები და ბავშვთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა მხოლოდ 66 მოსწავლემ, რომელნიც თბილისში გამოსვლას აწყობენ თემაზე „ინდუსტრიული ქუთაისი“.

გამოსვლაში გასცენირებული იქნება ძველი და ახალი ქუთაისი, მოეწყობა პიონერთა სიმფონიური ორკესტრის, გურულ მომღერალთა გუნდის, მეჩონგურეთა ანსამბლის, დეკლამატორთა და მოცეკვავეთა გამოსვლები.

ქუთაისის დელეგაციაში შემავალი ბავშვების 80 პროცენტი ჩაბმულია ქუთაისის პიონერთა სახლის თვითმოქმედ წრეებში.

მეგრული ხალხური სიმღერები

ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადაზე საინტერესო პროგრამით გამოდის ზუგდიდის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, რომელიც 32 ფრიადოსნისაგან შესდგება. გუნდის წევრთა უმეტესობა სოფელ ორსანტიას საშუალო სკოლის მოსწავლეებია, იმ ორსანტიასი, რომლის მილიონერი მოწინავე კოლმეურნეობა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი.

გუნდს ხელმძღვანელობს ნორჩი კომპოზიტორი, მე-7 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე დანიელ ხაზალია.

პროგრამა შესდგება ხალხური მეგრული სიმღერებისაგან. პირველი ნომერია სიმღერა „ვოისა“ (ახალი ვარიანტით), მიძღვნილი ორსანტიის მილიონერი კოლმეურნეობისადმი. შემდეგი ნომრებია „მოზარდი და მფრინავი“, „უტუ მიქაჲა“, „სიმღერა ბერიაზე“, ხალხური სახუნჯო საცეკვაო სიმღერა „ჯან სულო“.

გარდა ამისა შესრულებული იქნება ტრიო „დათვის წვეულება“ აკაკი წერეთლის ლექსის მიხედვით, ჩონგურზე სიმღერა „დარიკო“ და აფხაზური ცეკვა.

ოლიმპიადის მონაწილენი ასპინძიდან

ორიგინალური იქნება ასპინძის რაიონის ბავშვთა გამოსვლა თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

ასპინძის ბავშვები გვიჩვენებენ აზერბაიჯანულ ცეკვას „ნაშთიბადს“, წაიკითხავენ საკუთარ პოემას „ბიზიმ ვათანს“, გვიჩვენებენ აგრეთვე ნაციონალურ ცეკვებს „აისტანს“, „ენზელის“ და სხვ.

ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის თბილისში ჩამოვიდნენ ასპინძის რაიონის საბავშვო ოლიმპიადაში გამარჯვებული ბავშვები.

ბავშვთა შემოქმედების საქართველოს პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. სურათზე: მეჩონგურეთა ანსამბლის მონაწილენი ქ. ცხაკაიადან (მარცხნიდან). — ტ. დამენია, კ. თოხაძე და ვ. სიმონია.
საქდესის ფოტოქრონიკა

100 წელი აკაკი წერეთლის დაბადებიდან

საუცხოო გამოფენა

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს. დოკუმენტური და მხატვრული მასალები მზრუნველობით არის თავმოყრილი, მოხერხებულად არის სისტემატიზებული და დიდი სიყვარულით არის მოცემული.

ეპოქის დოკუმენტები მკაფიოდ ასახავენ იმ პირობებს, რომლებშიც უხდებოდა მუშაობა აკაკი წერეთელს, გვიჩვენებენ მის გარემოცვას, გვიხატავენ მის შთაგონებულ შემოქმედებას.

წმინდა სამუზეუმო მხრივ სასურველი იქნებოდა ზოგიერთი ექსპონატი „ხაზგასმული“ და მთელი რიგი სხვა ექსპონატებისაგან გამოყოფილი გვენახა, მაგალითად, აკაკი წერეთლის ნიღაბი და ხელის ტვიფარი, სამუშაო მაგიდა, ეჭვი არ შემდის, რომ ყოველივე ეს გაკეთდება.

ჩემი სურვილია—აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი გამოფენა იყოს უმნიშვნელოვანესი ეტაპი ისეთი ექსპოზიციის შესაქმნელად, რომელიც მთლიანად ასახავს ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების პროცესს უძველესი დროიდან დღევანდლამდე.

ვფიქრობ, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი დაეხმარება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს ამ ძნელ, მაგრამ საჭირო და მადლიან საქმეში.

აკადემიკოსი **ი. ლუპოლი.**

შენ მხცოვანო ასი წლისავ

შენს მოსვლამდე ჩვენს ქვეყანას
სისხლი სად—არ მოეღვარა?
გარე მტერი შინაურსა
ჩრდილს ჩრდილივით მოეფარა,
მთელი მიწა მოეობრა
სულ ხმალ-ხანჯლით მოებარა
და სიცოცხლის მარად მწვავე
ხეს, აღარა მოება-რა.

ტკბილი იყო ძიძის ძუძუ,
ბავშვი ვისაც მიებარე,
შენს მშობლებზედ უფრო მეტად
გლეხკაცს ემმე, შეიყვარე.
მშიერ-ტიტველ გლეხის შვილებს
შეეთვისე შინ და გარეთ
და მათ დუხჭირ ცხოვრებაზე
შენ მრავალჯერ ცრემლიც ჰღვარე.

არა, მარტო გულჩვილობა
და ცრემლები არ იკმარე.
ხალხთან მიხვედ—მეტად ახლოს
მის საცნობად და დამხმარედ
კალამს ხელი წამოავლე
მოიმარჯვე სიტყვა მწარე
ყველა ცრუ და ხალხის მტერი
შენ როზგის ქვეშ გაატარე.

შენ მომავალს უმღეროდი
ბანს აძლევდი ჩანგზე სიმებს
და წინასწარ მეტყველობდი
ქართველს—ხალხის მხსნელს და იმედს,
ძველ სამყაროს გაჰკიოდი
აღვიძებდი ხალხში გმირსო.
„ძირს მთავრობავ, უსამართლო,
ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო“.

ხალხს ბრძოლის სულს შთაბერავდი
აფხავებდი ხანჯლის პირსა,
ახალგაზრდებს ეძახოდი:
„დროა თქვენი გამოსვლისა“
„გვეყო ისიც რაც ვიტანჯეთ,
ძირს მთავრობა, აწ კი ძირსო“
ძირს მეფე და ბატონები
„გვიმატებენ ჭირზე-ჭირსო“.

ქაჯებს ჰყავდა შენი სატრფო
დრო დგებოდა გამოხსნისა
ბრძოლისათვის მოუხმობდი
ტარიელს და ავთანდილსა.
ხალხი აღსდგა საბრძოლველად
ყმა და მონა დიდი ხნისო
„ბნელს ნათელმა მიანათა
და ერთ რამედ ესეც ღირსო“.

თვითმპყრობელებს ლახვარს სცემდი,
მენც იფრთხობდი თვალზე ძილსო,
„ხალხი აღსდგა, ხალხი ღელავს
ვეღარ აძლებ აწ აღვირსო“,
გვეყო ყოფნა მონობის ქვეშ
თორმილება მუდამ სხვისო.
„დროა განთავისუფლების
ძირს მთავრობავ, აწ კი ძირსო“.

გასჭრა შენმა მოწოდებამ
და პოეტო, სიტყვატკბილო,
დღეს ჩვენ შორის არვინ გახლავს
საძრახი და სათაკილო.
გმირთა-გმირების ქვეყანა
დღევანდელი საქართველო,
ამისთანას რას ნახავდი
მსოფლიოც რომ შემოგევლო!

ნეტავ ახლა შენი ტკბილი
სიტყვა, ცოცხლად გაგვაგონა,
უკეთესად გადმოგვცემდი,
რაც წარსულმა დაგვღონა.
ჩვენს ოჯახში შენც გაჩვენა
ჯერ თორმეტი ვარდის კონა,
მერე გინდა სამუდამოდ
სატრფოს გულში ჩაგაკონა!

ვიცი კრემლშიც შეივლიდი —
იქ ბელადი დაგხვდებოდა
ის ყველაფერს გიამბობდა
თუ—შენს აქეთ რა ხდებოდა
შენი წმინდა წინათგრძნობა
ვიცოდით, რომ ახდებოდა
სადაც ჯუღაშვილი სჭედა,
იქ მტერი რას გახდებოდა.

დღეს შენს ჰანგებს მოსძახიან
შენს სამშობლოს, შენს საყვარსა,
საქართველოს საზღვრებს იქით —
მთის კალთებს და ზღვის ნაპირსა,
რადგან ხალხის გამოხსნისთვის
არ ზოგავდით პირად წვლილსა
ღირსეულად ჩვენც გაფასებთ
შენ მხცოვანო ასი წლისა!

ალ. კუდიანაშვილი.

სოფ. ველათ-ხევა,
თიანეთის რაიონი.

გამოფენა „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“

ლიტერატურული მუზეუმის წინ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. 24 ივნისს, დღის 4 საათზე, როცა მწერალთა კავშირის პლენუმის დამთავრების შემდეგ მუზეუმს ეწვივნენ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, დიდი ზეიმით გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკური გამოფენა, მიძღვნილი აკაკის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებისადმი.

გამოფენის შესავალ კარში წითელი ლენტია გაბმული. აქ არიან საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. კიკნაძე, სსრკ მწერალთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი აკად. ლუპოლი, მწერლები, მხატვრები, სტუმრები, დამთვალიერებლები. ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა ორდენოსანმა პოეტმა გ. ლეონიძემ მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ გასჭრა ლენტი და ჩვენს თვალწინ გადაიშალა აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა, წარმოდგენილი ისტორიულ დოკუმენტებში, აკაკის და მის თანამებრძოლთა ხელნაწერებში, სურათებში, ფოტოებში.

გამოფენას 6 დარბაზი უჭირავს. შესავალ ოთახში ყურადღებას იპყრობს ორდენოსანი მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ მარმარილოსაგან გამოკვეთილი ბიუსტი აკაკისა. მისი მხიარული სახე ტკბილი ღიმილით ხვდება მომსვლელთ, თითქოს გვიწვევს—მოდით, ნახეთ ძველთა წელთა ნაღვაწ-ნამოქმედარიო.

პირველი დარბაზი მიძღვნილი აქვს აკაკის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდს. მეორე დარბაზი იწყება 60-იანი წლების ჩვენებით. აი „ცისკრის“ ძველი თაობა—ი. კერესელიძე, ბ. ჯორჯაძე, გრ. ორბელიანი და სხვები, რომლებსაც ზევიდან დაჰყურებს ანტონ კათალიკოსის დიდი პორტრეტი. ამათთან ჰქონდათ გაცხარებული ბრძოლა თერგდალეულებს, რომელთა სურათებიც იქვეა:—აკაკი, ილია, ან. ფურცელაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი. ამ განყოფილებას ამშვენებს ილიას სიტყვები, დაბეჭდილი „ივერიაში“ 1882 წელს:

„გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაიხვევს სამუდამოდ სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოაცემს მამულიშვილობისათვის“.

მიჰყვები დარბაზებს და თითქოს აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი წიგნის ფურცლებსა შლიდე. თვალს ვერ აშორებ ექსპონატებს—აი „კვალი“ და მისი თანამშრომლები, „მოამბე“ და აკაკი, „აკაკის კრებული“ და ხალხური შემოქმედება, აკაკი და ცენზურა. აი ყდა—„საქმე № 25 1906 წლისა—„ინტერნაციონალის“ ავტორის აკაკის და „პატარა გაზეთის“ რედაქტორის მესხის პასუხისგებაში მიცემის შესახებ“.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი განყოფილებას—„აკაკი და 1905 წელი“. მის პირდაპირ—აკაკი და ქართული თეატრი და შემდეგ: აკაკის იუბილე, აკაკი უცხოეთში, აკაკის მოგზაურობანი საქართველოში და დასასრულ—აკაკის დასაფლავება.

გამოფენა მდიდრულად არის გაფორმებული. დამთვალიერებელი იქ მრავალ საინტერესო მასალას ნახავს. აკაკის გამოცემები რევოლუციომდე, აკაკის გამოცემები ჩვენ დროს, ვინ სთარგმნიდა აკაკის და ვინ სთარგმნა აკაკიმ. აკაკის შემოქმედების შემსწავლელი გამოფენაზე იპოვნის ძვირფას თვალსაჩინო მასალას. იმ მრავალფეროვან ღონისძიებებში, რომლებიც ჩატარდა საქართველოში აკაკის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, რესპუბლიკური გამოფენა ერთერთი უმნიშვნელოვანესია.

გ. ნარიძე

„აკაკი წერეთელი“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა რესპუბლიკის სახალხო პოეტის გ. ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“. (საქდესი).

აკაკის

ვით ბავშვი დედის ტკბილ ძუძუს,
შენს ლექსებს დავეწაფები
და ვიკვეთები ცხოვრების
ავის და კარგის გაგებით.
ვეცნობი, ჩემი სამშობლო
თუ როგორ ტანჯვით შობილა,
ჩვენამდის ხალხის ცხოვრება
რა უკუღმართი ყოფილა.
მოძმე ჩაგრული მშრომელის
გულის ტკივილი გტკენია
და ანთებულა შენს სულში
თავისუფლების გენია.
კალმის მახვილით უკვეთე
იმ უსამართლო წყობასა,
დუხჭირ ჩაგვრას და მონობას,
ღალატს, შურსა და მტრობასა.
თვალცრემლიანი ეძებდი
„სულიკოს“ დაობლებულსა,
იმედიან ხმას აწვდიდი
სამშობლოს თოხრებულსა.
შენ დაუფასე შვილივით
ამაგი გამზრდელ ძიძასა,
სპეტაკი სული ჩვენ მოგვეც,
გვამი—სამშობლოს მიწასა.
ჩახუტებულხარ, ვით სატრფოს,
მამადავითის უბეში.
გიგრძვნია თავისუფლება,
ხალხის შვება და ნუგეში.
აღსდექ, აკაკი, იხილე
სამშობლო აყვავებული,
ახალ მიწაზე შრომა და
გმირობა დამყარებული.
ნახე გურია-აჭარის
დაბა-სოფლები მთებითა,
ნაჭაობარი კოლხიდა
მორთული ციტრუსებითა.
ნახავ—განათლდა ქვეყანა,
შრომას უპყრია ბუნება,
ხალხთა ერთიან ოჯახში
ხალხი ხალხს ემსახურება.
წარსულს ჩაბარდა ძველი დრო,
ობლები აღარ სტირიან,
ნათელა მფრინავია და
სულიკო შრომის გმირია.
თვით ჩვენო ტკბილო სულიკოვ,
გვიყვარხარ შვილიშვილებსა,
გილოცავთ დაბადებიდან
ასი წლის იუბილესა!

ს. ჩანგაშვილი.

სოფ. ზემო-ხოდაშენი,
თელავის რაიონი.

პლენუმის მონაწილენი აკაკის საიუბილეო გამოფენაზე თბილისის ლიტერატურულ მუზეუმში. სურათზე (მარცხნიდან): ვ. კირპოტინი, პ. ინგოროყვა, გ. ლეონიძე, აკად. ი. ლუპოლი, ვ. გოლცევი, ი. აბაშიძე.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ვადრების ზრდისა და საერთო კულტურული დონის ამაღლების შედეგად; 5) ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის განვითარება კოლმეურნეობათა მეურნეობის მართვა-გამგეობაში კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობის საფუძველზე; 6) კოლმეურნეობებისათვის ორგანიზაციული, მატერიალური და საფინანსო დახმარების აღმოჩენა საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ; 7) გადამწყვეტი ბრძოლა იმის ცდებთან, რომ კოლმეურნეობებში გადატანილ იქნას საბჭოთა მეურნეობების მმართველობის ორგანიზაციული სისტემა; 8) ერთპიროვნული მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საშუალო გლეხთან მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის კავშირის ბაზაზე.

ყრილობამ სასტიკად გააკრიტიკა შეცდომები და პარტიის ხაზის დამახინჯებანი, რომლებიც ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა დაუშვეს კოლექტივიზაციის გატარების პრაქტიკაში.

ყრილობამ აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის დროული მტკიცე და გადამწყვეტი მითითებებისა და ამხანაგ სტალინის სტატიების („თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“) განსაკუთრებული როლი საკოლმეურნეო მშენებლობაში გადახრებისა და პარტიული ხაზის დამახინჯებათა ლიკვიდაციის საქმეში.

ყრილობამ ახლებურად დააყენა საკითხი სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის შესახებ. სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი და მტკიცე დასაყრდენი გახდა კოლმეურნე; ღარიბი ერთპიროვნული მეურნე და საშუალო გლეხი განიხილებოდნენ როგორც ხვალინდელი კოლმეურნეები.

მუშათა კლასს, საშუალო გლეხთან შეკავშირებულს, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, იერიში მიჰქონდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელ დასაყრდენზე ჩვენს ქვეყანაში — კულაკობაზე. განსაზღვრავდა რა პარტიის შემდგომ ამოცანებს სოციალისტური მშენებლობის გაძლიერების საქმეში, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ პარტიის ძირითადი დებულება მდგომარეობს მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილ შეტევაზე გადასვლაში. ამხანაგმა **სტალინმა** სთქვა:

„XIV ყრილობა უმთავრესად, **ინდუსტრიალიზაციის** ყრილობა იყო. XV ყრილობა, უმთავრესად, **კოლექტივიზაციის** ყრილობა იყო. ეს იყო მზადება **საერთო** შეტევისათვის. განვლილი ეტაპებისაგან განსხვავებით XVI ყრილობის წინა პერიოდი წარმოადგენს **მთელ ფრონტზე** სოციალიზმის **საერთო** შეტევის პერიოდს, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში სოციალიზმის გაძლიერებული მშენებლობის პერიოდს. XVI ყრილობა არის სოციალიზმის **მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის**, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა“ („ლენინიზმის საკითხები“, მე-10 გამოც., გვ. 486).

ამხანაგმა სტალინმა ასე გენიალურად განსაზღვრა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დედაარსი, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი ეტაპის მთელი პოლიტიკის დედაარსი. ამ ხაზის საფუძველზე ყრილობამ დაავალა პარტია და მუშათა კლასი ხუთწლედის შესასრულებლად ოთხ წელიწადში, ამასთან აღნიშნა, რომ პარტიის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია გადამწყვეტი ბრძოლით კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნარჩენების წინააღმდეგ და მემარჯვენე კაპიტულანტების წინააღმდეგ, რომლებიც დაადგნენ ორგულობის გზას და პარტიის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური შეთქმულების გზას. პარტიის ყრილობამ აღნიშნა, რომ მემარჯვენეთა ხაზი, რომლებიც წარმოადგენენ კულაკობის აგენტურას, იწვევს კაპიტულაციას კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების წინაშე, სოციალიზმის მშენებლობის ჩაშლას და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენას.

O

ამხანაგ **სტალინის** მოხსენებაში და ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა მასების პარტიული ხელმძღვანელობის საკითხმა. განსაზღვრა რა ბოლშევიკური შეტევის დედაარსი, ამხანაგმა სტალინმა დააყენა კონკრეტული ამოცანები ორგანიზაციული მშენებლობის დარგში: 1) მობილიზებულ იქნას მასების კლასობრივი სიფხიზლე და რევოლუციური აქტივობა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ; მობილიზებულ იქნას მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება ჩვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; მოეწყოს შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპებისათვის; 2) გარდაიქმნას პროფკავშირული, კოოპერატიული, საბჭოთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული მუშაობა, განიდევნოს იქიდან უცხო და გადაგვარებული ელემენტები და დაწინაურებულ იქნან ახალი მუშაკები ქვევიდან; 3) თვით პარტია მობილიზებულ იქნას შეტევის მთელი საქმის ორგანიზაციისათვის; განმტკიცდეს პარტიული ორგანიზაციები და გაიწმინდოს ისინი ბიუროკრატიზმისა და გადაგვარების ელემენტებისაგან, გაჩაღდეს დაუნდობელი ბრძოლა კაპიტალიზმის ყველა რესტავრატორთან.

ამხ. კაგანოვიჩმა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშში გვიჩვენა, რომ პარტიის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მუშათა კლასის ორგანიზებულობის ზრდა.

მუშათა კლასის ორგანიზებულობა გამოიხატა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ვითარებაში მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებაში, ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად მასების მობილიზაციაში, თვითკრიტიკის გაშლაში „ქვევიდან ზევითამდე“ და „ზევიდან ქვევითამდე“, სახელმწიფო აპარატის წმენდაში, საბჭოთა აპარატზე მუშათა მასობრივი კონტროლის ახალი ფორმის განვითარებაში (საწარმოთა შეჯიბრება საბჭოთა დაწესებულებებზე), დაწინაურების ზრდაში, ფართო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში.

მთელ ფრონტზე სოციალისტურმა შეტევამ მოითხოვა პროლეტარიული დიქტატურის ყველა ორგანოს და მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნა. ყრილობამ დააყენა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების განმტკიცების, საბჭოთა აპარატის განმტკიცების ამოცანა. ამხ. ორჯონიკიძემ ცენტრალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენებაში მოიყვანა ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „აპარატის გაუმჯობესებისათვის სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლის გარეშე ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე“. ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა ღონისძიება პარტიის წმენდის, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების ხაზით და აღნიშნა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა.

პარტიამ მწვავედ დააყენა საკითხი პროფკავშირების ძირეული გარდაქმნის შესახებ და პროფკავშირების რიგებში ტრედიუნიონიზმის იმ გამოვლინებებთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ, რომლებსაც ნერგავდა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში მოკალათებულ მემარჯვენეთა ანტიპარტიული ჯგუფი.

აღნიშნა რა პარტიული რიგების მნიშვნელოვანი ზრდა, მუშათა უდიდესი ლტოლვა პარტიისაკენ (XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე პარტიაში მიღებულ იქნა 602.670 მუშა), მასების გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა, XVI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიის ხელმძღვანელი როლის საკითხს, მის იდეურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას.

ყრილობამ მიუთითა, რომ საჭიროა პარტორგანიზაციების მუშაობის სწრაფი გარდაქმნა, წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის უზრუნველყოფა, სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე პარტიულ ძალთა სწორი განაწილება.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება სოფლის პარტორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ საწარმოო ნიშნის მიხედვით და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებანი რაიონის, როგორც სოფლად სოციალისტური მშენებლობის ძირითადი რგოლის, განმტკიცების შესახებ, რასაც უნდა გამოეწვია პარტიული და საბჭოთა აპარატის გადამწყვეტი დაახლოვება სოფელთან, კოლმეურნეობებთან, მასებთან.

O

ყრილობა ლენინ-სტალინის პარტიის რიგების ერთიანობისა და ურყევობის მძლავრი დემონსტრაცია იყო.

ამხანაგმა სტალინმა ცხადჰყო სოციალური ფესვები, ბუნება და დედაარსი კონტრრევოლუციური ტროცკიზმისა და მემარჯვენე გადახრისა, რომელთა პოლიტიკა იწვევდა სოციალისტური მშენებლობის ჩაშლას, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენას.

ყრილობამ პარტიაში ყოფნასთან შეუთავსებლად სცნო მემარჯვენეთა შეხედულებანი. ყრილობამ მოუწოდა პარტიას დაუნდობლად აღმოეფხვრა პარტიის მიერ დამსხვრეული ანტიპარტიული ჯგუფების თვალთმაქცობა, მოესპო კონტრრევოლუციური ტროცკიზმისა და კაპიტალიზმის მემარჯვენე რესტავრატორების ნარჩენები.

პარტია ვერ მიაღწევდა სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებებს, გადამწყვეტი ბრძოლა რომ არ ეწარმოებინა ანტიპარტიულ ჯგუფებთან და მათ ნარჩენებთან. პარტიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანმიმდევრულად ატარებდა ლენინურ, პრინციპულ პოლიტიკას, როგორც ერთადერთ სწორ პოლიტიკას. XVI ყრილობამ მწვავედ დააყენა საკითხი ნაციონალურ საკითხში გადახრებთან ბრძოლის შესახებ, როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და დასახა სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანა.

პარტიის XVI ყრილობაზე მემარჯვენე კაპიტულანტების ლიდერები ფარისევლურად აცხადებდნენ, რომ ეთანხმებიან პარტიის ხაზს. საქმით კი ისინი ეწეოდნენ ანტისაბჭოთა არალეგალურ მუშაობას, ჰქმნიდნენ ანტისაბჭოთა ბლოკებს ტროცკისტებთან, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, ამყარებდნენ კავშირს უცხოეთის სახელმწიფოთა დაზვერვებთან.

ყრილობა დიდი უნდობლობით მოეკიდა მემარჯვენეთა განცხადებებს პარტიის ხაზთან მათი „თანხმობის“ შესახებ. შემდგომმა წლებმა მთლიანად დაადასტურეს ანტიპარტიული ჯგუფების ყოფილი ლიდერებისადმი პარტიის უნდობლობის სამართლიანობა. გადაგვარებულთა და გამცემელთა მთელი ეს ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდა მიეყიდა იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვებს, ჩადიოდა საშინელ ბოროტმოქმედებას საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, და ხალხმა აღგავა ისინი პირისაგან მიწისა.

O

პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგი **სტალინი** ამბობდა: „...ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში, ვინაიდან სოციალისტურ სექტორს ახლა ხელში უჭირავს მთელი სახალხო მეურნეობის ყველა სამეურნეო ბერკეტი, თუმცა სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე და კლასობრივ განსხვავებათა მოსპობამდე ჯერ კიდევ შორსაა“.

მხოლოდ ათი წელი გავიდა XVI ყრილობის შემდეგ; ჩვენმა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა წინ. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებულია პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების გეგმები. მრეწველობის საერთო პროდუქციის დონით სსრ კავშირს პირველი ადგილი უჭირავს ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში. ჩვენი ხალხი სწყვეტს სსრ კავშირის ძირითად ეკონომიურ ამოცანას — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. სსრ კავშირში ძირითადად აშენებულია სოციალიზმი—კომუნიზმის პირველი ფაზა. შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია საბჭოთა ქვეყნის თანასწორუფლებიანი მშრომელები არიან; ყველა ისინი დარაზმული არიან ბოლშევიკების პარტიის გარშემო, თავიანთი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ **სტალინის** გარშემო. საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია—მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია—სოციალიზმის მონაპოვართა უდიდესი შედეგია.

ამჟამად, როდესაც კაპიტალისტურ მსოფლიოში მძვინვარებს მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარი, როდესაც იმპერიალიზმის რეაქციული ძალები სისხლს აღვრევინებენ მილიონობით ადამიანებს—კაპიტალის მონებს, საბჭოთა ხალხი გულდამშვიდებული შეჰყურებს თავის მომავალს, ვინაიდან იგი დარწმუნებულია თავისი ქვეყნის ურყევ ძალაში. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია თავის საბოლოო გამარჯვებაში, ვინაიდან მან იცის, რომ **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას სოციალისტური ხომალდი მიჰყავს სწორი გზით, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

◆

დისციპლინა და ორგანიზებულობა ლატვიის რესპუბლიკის წარმატების საწინდარია

ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვა

რიგა, 23 ივნისი, (საკდესი). დღეს 8 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვილის ლაციზმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. ლატვიელი ხალხისადმი მიმართულ სიტყვაში მან განაცხადა:

„თავისუფალი ლატვიის მოქალაქენო!

ამა წლის 20 ივნისს დაეცა ძველი მთავრობა. ხალხის მოწონებით ხელისუფლების სათავეში ჩაუდგა ახალი მთავრობა, რომელიც მიზნად ისახავს პატიოსნად და ზუსტად შეასრულოს ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტი და ამ საფუძველზე თანმიმდევრობით განახორციელოს მტკიცე კავშირი ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ახალი მთავრობა გულწრფელად აცხადებს, რომ მხოლოდ ეს გზა მოუტანს კეთილდღეობასა და ბედნიერებას ლატვიის სახელმწიფოსა და მთელ ხალხს.

ჩვენი ქვეყანა დიად ისტორიულ დღეებს განიცდის. ისტორიული ამოცანების მთელი მნიშვნელობა შეგნებული აქვთ უაღრესად ფართო წრეებს ლატვიელი ხალხისას, რომელსაც კარგად ესმის, რომ მხოლოდ ჩვენი დიდი მეზობლის — საბჭოთა კავშირის ხელისშეწყობითა და დახმარებით იქნება გადალახული ყველა სიძნელე, და ლატვიელი ხალხი საბოლოოდ გამოვა თავისი აყვავებისა და ბედნიერების გზაზე.

ლატვიის ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების ყოფნა, ჩვენი მოსახლეობის მიერ წითელი არმიის სიხარულით შეხვედრა ნათელი საბუთია და საწინდარია საბჭოთა კავშირთან ჩვენი კავშირის სიმტკიცისა და ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობისა. ლატვიელი ხალხი მრავალი წლის განმავლობაში იჩაგრებოდა და იტანჯებოდა უუფლებობით და ძველი მმართველების უკანონობით. ახლა ჩვენი ხალხი თავისუფალია. პლუტოკრატიის რეჟიმი დაემხო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა — სავსებით და გადაჭრით გაწმინდოს სახელმწიფო აპარატი რეაქციული ელემენტებისა და ხალხის მტრებისაგან.

ლატვიისა და ლატვიელი ხალხის მტრები ყოველგვარ რეაქციულ ხმებს ავრცელებენ, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ნდობას საბჭოთა კავშირ-ლატვიის ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისადმი, უნდობლობა გამოიწვიონ ჩვენი მთავრობისა და ჩვენი დიდი მეზობლის — სსრ კავშირისადმი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაჭრით და დაუზოგავად აღკვეთავს ახლაც და მომავალშიც სხვადასხვა არამზადების ყოველ პროვოკაციულ საქმიანობას და უმკაცრეს პასუხს მოსთხოვს მათ სახელმწიფოებრივი წესრიგის ყოველი დარღვევისათვის. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის თვით ხალხს, და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დახმარებას გაგვიწევენ ჩვენი საზოგადოება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ყველა მოწინავე ადამიანი, ჩვენი სამშობლოს ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი.

ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინასა და ორგანიზებულობას, ორგანიზებულობას და კიდევ ორგანიზებულობას. ამასთანავე ასეთი ორგანიზებულობისა და დისციპლინის მაგალითს წარმოადგენს 21 ივნისის სახალხო დემონსტრაცია.

შემდეგშიაც შეერთებული ძალღონით განვამტკიცებთ ჩვენს ორგანიზებულობას, წესრიგსა და დისციპლინას. ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლთა განთავისუფლება, ყოველგვარი დემოკრატიული თავისუფლების — სიტყვის, პრესის, კრებების, კავშირებისა და მშრომელი ხალხის გაერთიანებათა თავისუფლების აღდგენა.

ამჟამად მთავრობა იმაზე მუშაობს, რომ გაათავისუფლოს სახელმწიფო და ადმინისტრატიული აპარატი ყველა რეაქციული ელემენტისაგან და ახალი აპარატი შექმნას. ხდება მთავრობის მიერ წინა წლებში მიღებულ დადგენილებათა გადასინჯვა იმ მიზნით, რათა გაუქმებულ იქნას ყველა აქტი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის პრინციპებსა და ახალი მთავრობის 1940 წლის 21 ივნისის დეკლარაციას.

მიმდინარეობს მზადება მთავრობის დეკლარაციის განხორციელების ღონისძიებათათვის, კერძოდ, მოქალაქეთა პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად; სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად; იმისათვის, რომ დაწესდეს თანამდებობის ყველა პირის პასუხისმგებლობა თავისი სახელმწიფო მოვალეობისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის.

მთავრობის სახელით მოვუწოდებ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს — ლატვიის — ყველა პატიოსან მოქალაქეს შრომისაკენ, დისციპლინისაკენ, ახალი მთავრობისადმი ნდობისაკენ.

ახალი მთავრობა გულწრფელ სურვილსა და განზრახვას გამოსთქვამს პატიოსნად ემსახუროს თავის ხალხს, პატიოსნად შეასრულოს ლატვიასა და სსრ კავშირს შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტი. ყოველმხრივ განამტკიცოს ლატვიის სახელმწიფოს და დიდი საბჭოთა კავშირის მკვიდრი და მეგობრული კავშირი. ეს არის ჩვენი მთავარი და უდიდესი ამოცანა, ვინაიდან ყოველივე იმ საუკეთესოს, რაც ჩვენ მოგვეპოვება, უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ საბჭოთა კავშირს, ვინაიდან ყოველივე იმისათვის, რასაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია მადლობა უნდა შევწიროთ მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს.

გაუმარჯოს ჩვენი ხელშეკრულების ურღვევობას!

გაუმარჯოს ლატვიისა და სსრ კავშირის მეგობრობას!

ზეიმი მეგობრულ ესტონეთში

ტალინი, 23 ივნისი (საკდესი). ესტონეთის მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა თავისი ახალი მთავრობის დეკლარაციას. პრემიერ-მინისტრის ი. ვარესის (ბარბარუსის) სახელზე მოდის ათობით და ასობით მისალმებანი, რომლებითაც ულოცავენ და სიმპატიებს უცხადებენ პრემიერ-მინისტრს და ახალ მთავრობას, ამასთან სიტყვას აძლევენ მათ, რომ მოსახლეობა დაეხმარება მთავრობას დეკლარაციის განხორციელებაში.

მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, 23 ივნისი გამოცხადებულია თავისუფლების დღედ (წინათ ამ დღეს „გამარჯვების დღე“ ეწოდებოდა).

დღეს ქვეყნის მთავრობის ყველა დაწესებულება და სკოლები მორთულია ესტონური ნაციონალური დროშებითა და საბჭოთა სახელმწიფო დროშებით. ყველგან სადღესასწაულო განწყობილებაა. დაბა ვიპსში ყველა სახლი მორთულია 2 ბაირაღით — ესტონური და საბჭოთა ბაირაღებით, როგორც სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის არსებული განუყრელი მეგობრობის სიმბოლოთი.

პეტსერში, ნარვაში, კიტიელში, დაბა იაგალში დღეს შესდგა მიტინგები, რომლებზედაც მშრომელებმა ნდობა გამოუცხადეს ახალ მთავრობას და განაცხადეს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ მას იმ ისტორიული ამოცანების განხორციელების საქმეში, რომლებიც აღნიშნულია დეკლარაციაში.

გაზეთი „პოსტიმეესი“ დღეს სწერს: „ესტონელი ხალხი ისტორიულ დღეებს განიცდის. ესტონეთის მოქალაქეთა ხალხმრავალი მიტინგი ყველა ქალაქში გაიმართა. მიტინგების ყველა მონაწილე ერთსულოვნად მოითხოვდა, რომ პატიოსნად გატარდეს ცხოვრებაში სსრ კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტი. დღეს ჩვენ ყველანი კმაყოფილებას ვგრძნობთ. ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვება არცერთი პატიოსანი კაცი, რომ არ მისალმებოდეს ახალი მთავრობის დეკლარაციას. ჩვენ განვიცადეთ წარსული მსოფლიო ომის საშინელება, ჩვენ ვიცით, რომ თავს დავაღწევთ ამ საშინელებას იმიტომ, რომ ესტონეთის საზღვრებს წითელი არმია იცავს“.

ესტონეთის მოსახლეობის სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი დღითი-დღე სულ უფრო-და-უფრო ძლიერი და ღრმა ხდება. საკდესის კორესპონდენტის მიერ მიღებულ ერთერთ წერილში ნათქვამია: „დიდად პატივცემულო ამხანაგო! ხომ მომეცით ნება ამხანაგი გიწოდოთ ისეთ დღეს, როგორიც არის დღევანდელი დღე. ჩემი გული სიხარულით არის აღსავსე. დღევანდელი დღე ბედნიერი დღეა ჩემს ცხოვრებაში და მე მინდა თქვენი მეშვეობით დიდი მადლობა ვუძღვნა მთელს საბჭოთა კავშირს და სახელოვან წითელ არმიას.

საბჭოთა კავშირს რომ მეგობრული დახმარება არ გაეწია, ისე არასოდეს არ იქნებოდა შესაძლებელი ის, რაც გუშინ ოცნება იყო და დღეს კი რეალობად იქცა. ჩვენ თავისუფალი ვართ. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენს საჭიროებაზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი სამშობლოს ბედი, ვიმუშაოთ მისი კეთილდღეობისათვის.

მე ეს-ეს არის დავბრუნდი ტალინის მუშათა მასობრივი დემონსტრაციიდან (წერილი დაწერილია 21 ივნისს). რა საინტერესო მოვლენა იყო ეს ჩვენთვის! რა სიხარული ვიგრძენი მრავალი წლის შემდეგ! ადამიანები თითქოს გამოიცვალნენ, ისინი ისე თავისუფლად და ისეთი მხიარული გამომეტყველებით მიდიოდნენ, რომ გულს რაღაც განსაკუთრებით ახარებდა.

ყოველი შავბნელი და მძიმე უკან მოვიტოვეთ. მე ერთი გრძნობა მქონდა, რომ ვხედავ კიდევ ერთი ხალხის, ჩემი ესტონელი ხალხის აღორძინებას, იმ ხალხისა, რომელიც გაბრწყინვებული სახით მიდიოდა და თან მიჰქონდა წითელი დროშები და ლოზუნგები, რომლებიც ახალი ცხოვრებისაკენ მოგვიწოდებენ.

მთელმა ქალაქმა ისე იცვალა სახე, რომ მას ახლა თითქმის ვერ იცნობთ. მჭიდროდ დასახლებული, ვაჭრული ტალინი ერთბაშად გაახალგაზრდავდა, უკეთესი გახდა და იქ სიხარულით აფრიალდა ბაირაღები და დროშები. ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს სრულიად არ იცნობდნენ, გულთბილად ლაპარაკობდნენ, იღიმებოდნენ. რა სიხარულით ვუკრავდით ჩვენ ტაშს და „ვაშას“ შევძახოდით წითელარმიელებსა და მეთაურებს. მუშები ეკითხებოდნენ მეომრებს, თუ როგორია ცხოვრება სსრ კავშირში, თვითონ მოუთხრობდნენ მათ თავიანთი მონური ცხოვრების ამბავს.

— ჩვენც გვინდა ადამიანურად ვიცხოვროთ, — ამბობს ხანში შესული მუშა. — დღემდე ჩვენ მონები ვიყავით და იძულებული ვხდებოდით გავჩუმებულიყავით ბატონების წინაშე. ისინი ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ მათ აქვთ ბრწყინვალე ცხოვრების უფლება.

— სიტყვის ნება მეც მომეცით, — ახლოს მოიწია სოფლიდან ჩამოსულმა რომელიღაც მოქალაქემ. თქვენი სიმღერებისთვისაც კი გვსჯიდნენ ჩვენ, ღარიბებს. ხოლო თუ ჯარიმას არ გადიხდიდი, ერთადერთ ძროხას აგიწერდნენ. გმადლობთ დახმარებისათვის!

წითელარმიელები ჩვენი საყვარელი ადამიანები გახდნენ. მოხუცი ქალები მღელვარებით უყურებდნენ წითელარმიელებს, რომლებიც მოტოციკლეტებით დაასეირნებდნენ ბავშვებს გზებსა და პარკებში.

— რა ფრთხილად დაასეირნებენ ისინი ბავშვებს, — სთქვა ერთმა მოხუცმა ქალმა. — ვისაც ბავშვი უყვარს, ის არ შეიძლება ცუდი კაცი იყოს.

ყველაფერს ვერ იტყვი, რაც მე ამ შესანიშნავ დღეს ვნახე. იმას, რაც მე განვიცადე, ასიათასობით ჩვენი მოქალაქე განიცდიდა და განიცდის. წითელი არმიის მოსვლა აღგვაფრთოვანებს ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისათვის სამუშაოდ“.

პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება ესტონეთში

ტალინი, 24 ივნისი (საკდესი). მშრომელთა ნება-სურვილის შესასრულებლად, ესტონეთის მთავრობამ გამოაცხადა ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია. 21 ივნისს ესტონეთის საპყრობილეებიდან, კაზემატებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან განთავისუფლებულ იქნა 340 პოლიტიკური პატიმარი. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთავრობის ხელშეწყობით უდიდესი ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობიან თავიანთ ამხანაგებს, მეგობრებსა და ნათესავებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იტანჯებოდნენ საპყრობილეთა საკნებში. განთავისუფლებულთ დაეთმოთ ქალაქის საუკეთესო შენობა — სასტუმრო „ოქროს ლომი“. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ მათ მისცა საჭირო სახსრები მოსაწყობად.

საკდესის კორესპონდენტი დღეს ესაუბრა ერთერთ ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს, ალექსანდერ მუის, რომელიც ტალინის საპყრობილის საკნებში 15 წელს იყო დამწყვდეული, განაცხადა:

„საპყრობილეში გატარებულმა 15 წელმა ჩემი ჯანმრთელობა და ძალღონე შეარყია. მაგრამ რაც შეიძლება ჩქარა გამოვკეთდები, რომ კვლავ შევუდგე მუშაობას. საპყრობილეში ჩვენ შესაძლებლობას გვისპობდნენ რაიმე ურთიერთობა გვქონოდა არათუ გარეშე სამყაროსთან, არამედ ერთმანეთთანაც კი.

ჩვენ ჩაჭედილი ვიყავით ხუნდებში. რეზინის ჯოხით გვცემდნენ. იყო შემთხვევები, როცა დაპატიმრებულს ცემის შემდეგ შიშველს ამწყვდევდნენ ჭიანჭველებით სავსე ჯურღმულში“.

პოლიტპატიმარნი გულისწყრომითა და სიძულვილით ლაპარაკობენ ძალადობისა და უუფლებობის რეჟიმის შესახებ.

„განთავისუფლებამდე 3 დღით ადრე, — ამბობს მუი, — პოლიტპატიმართა ჯგუფი ვეზელემის მახლობლად მუშაობდა. იქვე მიემართებოდნენ საბჭოთა ტანკები. ჩვენ მუშაობა შევწყვიტეთ და სიხარულით მივესალმეთ საბჭოთა ტანკისტებს. ამისათვის ყველას გვცემეს და კარცერში დაგვამწყვდიეს.

21 ივნისს გავიგეთ, ქალაქში მუშების დემონსტრაცია შესდგებაო. საპყრობილის ფანჯრები სულ მთლად დახურული იყო. როცა ჩვენ სამუშაოზე ვიყავით, მოირბინა საპყრობილის უფროსის თანაშემწემ. იგი გვიყვიროდა: აიბარგეთ! გამოდით! ჩვენ გაკვირვებით შევცქეროდით, იგი კი პირდაპირ გვემუდარებოდა: რაღას სდგეხართ! გასწით! ფანჯრებში დაენახვეთ, რომ თქვენ ცოცხალნი ხართ, თორემ მუშები ჭიშკარს დაამტვრევენო.

როცა ჩვენ საპყრობილიდან გამოვედით, შემოგვეხვივნენ მხიარულნი, აღტაცებული მეგობრები და ამხანაგები. ეს შეხვედრა არასოდეს არ ამოიშლება ხსოვნიდან.

დღეს ვესაუბრე საბჭოთა მეზღვაურებსა და წითელარმიელებს. რა გულთბილ გრძნობას განიცდი მათდამი! და ჩემთვის გასაგებია, თუ რად არის ასე მადლიერი ჩვენი ხალხი საბჭოთა კავშირისა.

გთხოვთ გადასცეთ სალამი ამხანაგ სტალინს, მოლოტოვსა და ვოროშილოვს. გადაეცით საბჭოთა ხალხს, რომ ჩვენ ყოველნაირად განვამტკიცებთ მეგობრობას ესტონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ლიტვის მთავრობის ღონისძიებანი

კაუნასი, 23 ივნისი (საკდესი). ლიტვის ახალმა მთავრობამ, რომელიც ხალხის მასების სრული ნდობით სარგებლობს, თავისი არსებობის რამდენიმე დღის განმავლობაში დიდი მუშაობა გააჩაღა. თანდათანობით იწმინდება სმეტონას რეჟიმის სულშემხუთავი ატმოსფერო, რაც ყოველივე ცოცხალს აღრჩობდა. ახლა მიმდინარეობს სახელმწიფო აპარატის წმენდა ჯაშუშებისაგან, პროვოკატორებისაგან, სმეტონას დამქაშ-ბიუროკრატებისაგან. ლიტვის ახალი მთავრობა რეალურ ზომებს იღებს მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად და მიწის საკითხის მოსაგვარებლად. ხალხის ფართო მასებისათვის უზრუნველყოფილია უფასო საექიმო დახმარება. განათლება, რაც სმეტონას ყოფილ ლიტვაში ბურჟუაზიისა და მემამულეთა მონოპოლიას შეადგენდა, ახლა მთელი ხალხის კუთვნილება გახდა.

ლიტველი ხალხი კმაყოფილებით შეხვდა მთავრობის გადაწყვეტილებას ტაუტინინკთა პარტიის — სმეტონას დასაყრდენის დაშლისა და ცენზიანი სეიმის დათხოვნის შესახებ.

ტაუტინინკთა ანტიხალხური პარტია თავის წევრებს ძალადობის, ტერორისა და მოსყიდვის გზით აგროვებდა. იმ სახელმწიფო მოსამსახურეებს, მუშებს, მასწავლებლებს, ვინც პარტიაში შესვლაზე უარს იტყოდა, სამსახურიდან ითხოვდნენ და ისეთ მოწმობას აძლევდნენ, რომ აღარსად არ მიეღოთ სამსახურში.

სმეტონას რეჟიმმა წარმოშვა ეგრეთწოდებული ცენზიანი სეიმი. ფაქტიურად სეიმს შინაგან საქმეთა მინისტრი და მაზრების უფროსები ნიშნავდნენ. ამიტომ სეიმის დეპუტატებად პირველ რიგში აღმოჩნდნენ... თვით შინაგან საქმეთა მინისტრი და მაზრის უფროსები. მათ გვერდით ისხდნენ უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები და მემამულეები.

პასუხად ყოფილ მმართველთა ცდისა — შეექმნათ მოჩვენებითი „არჩევნები“ საპოლიციო ზომებისა, მუქარისა და ძალადობის მიუხედავად, სმეტონას ხელისუფლების მიერ დანიშნულ კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 30 პროცენტზე ნაკლებმა. ახლა სეიმი — ეს ოპერეტული დაწესებულება — ხუხულასავით დაინგრა.

მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის ხალხმრავალი კრებები მიესალმებიან ახალი მთავრობის გადამწყვეტ ნაბიჯებს და თავიანთი რეზოლუციებით დიდ მადლობას სწირავენ საბჭოთა კავშირს, რომელმაც უზრუნველჰყო ლიტვის უშიშროება.

ესტონეთის არმიის სარდლად დაინიშნა გენერალ-მაიორი გუსტავ იონსონი

ტალინი, 23 ივნისი (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტის 1940 წლის 22 ივნისის ბრძანებით, გენერალი ლაიდონერი განთავისუფლებულია არმიის მთავარსარდლის მოვალეობისაგან და გადაყენებულია.

ამავე დროს პრეზიდენტის ბრძანებით ამა წლის 22 ივნისიდან ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა და ესტონეთის არმიის სარდლად დაინიშნა გენერალ-მაიორი გუსტავ იონსონი.

○

ესტონეთის არმიის მთავარსარდალი, გენერალ-მაიორი გუსტავ იონსონი დაიბადა 1880 წელს. 1923 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის კურსები ტალინში. 1918 წლიდან გადადგომამდე (1939 წელს) ზედიზედ იყო — კავალერიის პირველი პოლკის მეთაური, გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე, სამხედრო სასწავლებელთა უფროსი, მესამე დივიზიის მეთაური, კავალერიის ინსპექტორი. გენერალ-მაიორი გუსტავ იონსონი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ესტონეთის არმიის ხელმძღვანელთა შორის.

კონოეს გადადგომა

ტოკიო, 24 ივნისი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დღეს გადადგა საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე კონოე. საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაინიშნა ხარა იოსიმიცი, რომელიც დღემდე საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო.

კონოემ გადადგომის შემდეგ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა, რათა თავისი მოღვაწეობა მოანდომოს ძლიერი ნაციონალური პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის საქმეს. მისი აზრით, ასეთი ორგანიზაციის შექმნა საჭიროა იმისათვის, რომ „დაძლეულ იქნას უმაგალითო შემაშფოთებელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად იმყოფება იაპონია“.

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 24 ივნისი (საკდესი). უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკიდან იუწყებიან:

„ატლანტის ოკეანის სანაპირო დაკავებულია მდინარე ჟირონდის შესართავამდე. ლა როშელი და როშფორი აღებულია. შემდეგ, აღმოსავლეთისაკენ, გერმანიის ჯარმა პუატიეს ჩრდილოეთით მდებარე რაიონს მიაღწია. ელზასსა და ლორენში მტრის ჯარის ახალი ჯგუფები დაგვნებდნენ; აღებულია აგრეთვე მაჟინოს ხაზის სიმაგრეები. სატორპედო კატარღებმა ჩასძირეს ინგლისის შეიარაღებული სავაჭრო გემი 3.500 ტონა წყალწყვისა და მეორე გემი 5.000 ტონა წყალწყვისა. ერთი წყალქვეშა ნავის მეთაური იტყობინება, რომ მან ჩასძირა მტრის გემები, რომელთა წყალწყვა 23.500 ტონას უდრის. კალეს მახლობლად გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა მტრის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ჰოლანდიაში ჩამოგდებულია ინგლისის 6 თვითმფრინავი. მტრის თვითმფრინავებმა ვესტფალიას მიაღწიეს და იქ დაბა ვიშენჰეფენის მახლობლად ყუმბარა დაუშინეს გლეხთა სახლებს და ტყვიამფრქვევები — მოსახლეობას. ორი კაცი მძიმედ დაჭრილია, ოთხი მსუბუქად. ღამით მტერი თავს დაესხა ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიას. ბევრ ადგილას არასამხედრო ობიექტებზე ჩამოყრილმა ყუმბარებმა ზიანი გამოიწვია. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში. რამდენიმე ყუმბარა სამხედრო ტყვეების ბანაკში ჩავარდა ბალტიის ზღვის სანაპიროზე“.

ბერლინი, 24 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შემდეგ ცნობას საომარი მოქმედების შესახებ: „ელზას-ლორენში ბრძოლის დამთავრების შემდეგ საომარი მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ ძირითადად დამთავრებულია. საფრანგეთის ჯარი მთელს ფრონტზე, სანაპიროდან შვეიცარიის საზღვრამდე, განადგურებულ იქნა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ხელმოწერილი იქნებოდა შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ.

ლიონიდან დაწყებული და მისი აღმოსავლეთით გერმანიის ჯარი განაგრძობს სამხრეთისაკენ წინსვლას. სავოიის ალპებთან, ჟენევის სამხრეთით, გერმანიის ჯარმა რონა გადალახა. აქ საომარი მოქმედება მთიან ადგილებში სწარმოებს“.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 24 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკიდან გადმოგვცემს შემდეგ ცნობას: „მტრის ნაწილებმა, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ ვოგეზებში, დონონის რაიონში, დღეს იარაღი დაჰყარეს. გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო 22 ათასზე მეტი ტყვე, მათ შორის გენერალი, რომელიც კორპუსს სარდლობდა, დივიზიის სამი მეთაური, ათასამდე ოფიცერი, 12 საარტილერიო დივიზიონი, მათ შორის ექვსი მოტორიზებული. გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო აგრეთვე დიდძალი ნადავლი“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, სადაც ნათქვამია: „ინგლისის ავიაგამანადგურებელთა შენაერთები მთელი დღის განმავლობაში განაგრძობდნენ ოპერაციებს საფრანგეთის ტერიტორიაზე. მომხდარი საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ერთი თვითმფრინავი“.

რეიტერის სააგენტო საფრანგეთის კოლონიების მიერ ომის განგრძობის შესახებ

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ლონდონიდან იუწყება, რომ, როგორც აცხადებენ „ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში, საფრანგეთის მთავრობის მიერ დროებითი ზავის ხელმოწერა ბოლოს უღებს საფრანგეთის ჯარის ორგანიზებულ წინააღმდეგობას საფრანგეთში. მიუხედავად ამისა სირიაში მიტელჰაუზერმა განაცხადა: საფრანგეთის ჯარს გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ბრძოლა. მაროკოდან, სენეგალიდან, კამერუნიდან და ჯიბუტიდან სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთაგან მიღებულია დაპირება ლოიალობის დაცვისა და დახმარების გაწევის შესახებ“. როგორც შემდეგ სააგენტო აცხადებს, „ინგლისის მთავრობა მზად არის გაატაროს საჭირო ფინანსიური ღონისძიებანი იმისათვის, რომ საშუალება მისცეს საფრანგეთის კოლონიებს განაგრძონ ბრძოლა“.

„დინსტ აუს დოიჩლანდი“ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 23 ივნისი (საკდესი). ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ სწერს: „ამ ბოლო დროს უცხოეთის პრესა და განსაკუთრებით ამერიკის გაზეთები ცდილობენ სხვადასხვა ხმების გავრცელების გზით დაარღვიონ მეგობრული ურთიერთობა გერმანიასა და სსრ კავშირს შორის. გავრცელებული ცნობების მიზანია, ალბათ, უნდობლობა შექმნას ორ დიდ სახელმწიფოს შორის. გერმანიაში იმ აზრისანი არიან, რომ ყველა ეს ცდა სრულიად უნაყოფოა. გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, როგორც უკვე რამდენჯერმე განაცხადეს გერმანიის ავტორიტეტულმა წრეებმა, დამყარებულია ზუსტად გარკვეული ინტერესების საფუძველზე და შეესაბამება ორივე ქვეყნის როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ფორმას, აგრეთვე ბუნებრივ მოთხოვნილებებს. მესამე მხარის ჩარევა კი სრულიად გამორიცხულია“.

ამერიკელი კორესპონდენტების გაძევება გერმანიიდან

ბერლინი, 23 ივნისი (საკდესი). პროპაგანდის სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ ამერიკელ კორესპონდენტებს ჰილსა და ბარნესს წინადადება მიეცათ 24 საათში დასტოვონ გერმანიის ტერიტორია. ჟურნალისტთა კარგად ინფორმირებულ წრეებში იუწყებიან, რომ ამ კორესპონდენტებმა ყალბი ცნობები გაჰგზავნეს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

თბილისის ლიტერატურულ მუზეუმში. აკაკის ბიუსტი. ორდენოსან მოქანდაკე **ი. ნიკოლაძის** ნამუშევარი.

საღამო-კონცერტი ა. ს. გრიბოედოვის თეატრში

23 ივნისს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მოაწყო აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი. საღამო გახსნა ა. ი. რუბინმა. ბესო ჟღენტმა მსმენელებს გააცნო აკაკი წერეთლის ბიოგრაფია და შემოქმედებითი გზა. თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები „თამარ ცბიერიდან“ (თარგმანი ა. კოჩეტკოვისა) და „პატარა კახიდან“ (თარგმანი ბ. ბრიკისა). მსახიობმა ნ. ფ. შელეხოვამ ჩინებულად წაიკითხა აკაკი წერეთლის ლექსი „იმერული ნანინა“ (1864 წ.), „ხანჯალი“ და „ძირს“ (1905 წელი) ბ. სერებრიაკოვის მიერ თარგმნილი; მსახიობმა ა. ე. ზაგორსკიმ — „ჭალარა“ და „შამილის სიზმარი“. აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა ტექსტებზე დაწერილი ვოკალური ნაწარმოებნი დიდი წარმატებით იმღერეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მსახიობმა, ორდენოსანმა სანდრო ინაშვილმა და ორდენოსანმა მერი ნაკაშიძემ. (საქდესი).

აკაკის საღამო სომხურ თეატრში

აკაკის საიუბილეო საღამო თბილისის სომხური დრამის თეატრში დიდი ზეიმით ჩატარდა 24 ივნისს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ამხ. **ა. აბარიანის** შესავალი სიტყვის შემდეგ, აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა რუსულ ენაზე კრიტიკოსმა **ბესო ჟღენტმა**.

საიუბილეოდ თეატრმა დადგა აკაკის ცნობილი კომედია „კინტო“ (თარგმანი აგულიანისა). ეს პიესა უკვე მესამედ იდგმება სომხურ თეატრში (პრემიერა შესდგა 23 ივნისს, 24 ივნისს წავიდა დილის წარმოდგენად). მიუხედავად ამისა დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ეს აიხსნება ერთის მხრით, სომეხი საზოგადოების დიდი პატივისცემით აკაკისადმი და მეორე მხრით, სპექტაკლის მხატვრული წარმატებით.

პიესის დადგმა ეკუთვნის **ა. აბარიანს**, რომელმაც გვერდი აუარა ყოფაცხოვრებითს დეტალებს და „კინტო“ დადგა, როგორც კლასიკური კომედია. დადგმა საინტერესოდ არის განხორციელებული. კარგია ნ. მკრტიჩიანის მუსიკა და რ. ნალბანდიანის მხატვრული გაფორმება.

შემსრულებელთაგან აღვნიშნავთ ახალგაზრდა მსახიობს მ. აშჩიანს, რომელმაც სალომე — კინტოს როლი მშვენივრად შეასრულა. მის კინტოს მრავალგზის დააჯილდოვეს ტაშით. დანარჩენ შემსრულებელთაგან აღვნიშნავთ შ. შახნაზარიანს (ალმასხანი), რომელმაც სწორად გადმოგვცა იმერელი ლაქიის თავისებურება, ტ. ვართაზარიანს (ილია), მ. მარუთიანს (ალექსანდრე), გ. არუთინიანს (სამსონი), რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ვ. პირუმიანს (თათუზა) და ლ. ალაჰვერდიანს (მანუა) და დ. ამირბეგიანს (გეო).

„კინტო“ სომხური თეატრის ერთერთ საუკეთესო დადგმაა და იგი საპატიო ადგილს დაიჭერს თეატრის რეპერტუარში.

გრ. ნუცუბიძე.

„ცხოვრება აკაკი წერეთლისა“

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ლ. ასათიანის მონოგრაფია „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. მონოგრაფია შეიცავს აკაკი წერეთლის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების დაწვრილებით აღწერას და იმ ეპოქის დახასიათებას, რომელშიაც ცხოვრობდა და მუშაობდა პოეტი. წიგნი უხვადაა დასურათებული. გამოვიდა იგი ამხ. ი. თავაძის რედაქციით. (საქდესი).

საქართველოს დედაქალაქის სპორტის დღე

საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის მონაწილემ 30-ზე მეტმა ველოსიპედისტმა ქალმა და ვაჟმა გამოსასვლელი დღე გაატარა საქართველოს სამხედრო გზაზე. აქ მათ გამართეს შეჯიბრება პირადსა და გუნდურ პირველობაზე. მონაწილეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ტრამვაელ ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებმაც საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს. პირადი პირველობაც მათ ეკუთვნით: ვაჟებისათვის დაწესებული 20-კილომეტრიანი დისტანცია ნიკოლოზ ბარამოვმა გაიარა 41 წუთსა და 43,2 წამში; ქალებისათვის დაწესებული 10-კილომეტრიანი დისტანცია ელენე მარაზიუკმა გაიარა 24 წუთსა და 18,2 წამში.

○

ექვსი დღის განმავლობაში კალათბურთში რესპუბლიკის პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 8 ვაჟთა და 3 ქალთა გუნდი. უკანასკნელი მედგარი შეჯიბრება გაიმართა გამოსასვლელ დღეს. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილი მიესაჯა „მეცნიერების“ ქუთაისის გუნდს, მესამე ადგილზეა „მეცნიერების“ თბილისის გუნდი. ქალთა გუნდებში პირველ ადგილზე გამოვიდა „დინამოს“ თბილისის გუნდი, მეორეზე — „მეცნიერების“ თბილისის გუნდი, მესამეზე — ქუთაისის გუნდი.

12 ივლისს გათამაშება დაიწყება მეორე ჯგუფში.

○

„დინამოს“ სტადიონზე ქალაქის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ საზოგადოება „მოტორისა“ და „დინამოს“ პირველი გუნდები. თამაში დამთავრდა „მოტორის“ სასარგებლოდ ანგარიშით 3:1.

ჩოგბურთის კორტებზე ჩოგბურთის ოსტატებმა დაიწყეს რესპუბლიკის საგუნდო პირველობის გათამაშება. (საქდესი).

მწერალთა სასახლეში

27 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში აკადემიკოსი ი. ლუპოლი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „გორკი, როგორც პოეტი“.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1543660, გაცემული შალვა ვასილის-ძე თეგაშვილის, პარტბილეთი № 2863386, — დიმიტრი ანდრიას-ძე ხატიაშვილის და საკანდიდატო ბარათი № 0930112, ლევან ტიტიკოს-ძე კუსრაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქდესის გასწორება

„კომუნისტის“ 23 ივნისის ნომერში მოთავსებულ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 22 ივნისის დადგენილებაში „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირის, საზეთე სელისა და სოიის) თესლის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ“ — ცხრილის სათაურში ნაცვლად სიტყვებისა — „ჰექტარ ნათესზე“ უნდა იყოს — „ჰექტარ სახნავ მიწაზე“.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მარჯანიშვილის სახელობის — „ბედნიერება“, **მოზარდ მაყურებელთა** „პატარა კახი“, **გრიბოედოვის სახელობის** — „ელენეს მოტაცება“, **საქესტრადის საზაფხულო თეატრი** — გასტროლები მოსკოვის დრამის ანსამბლისა სახ. არტისტის ვაჰრამ ფაფაზიანის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით, **ღია ესტრადა** — საღამო-კონცერტი.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ყუბანელები“, **ოქტომბერი** — „უშიშარნი“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — ყუბანელები“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „ყუბანელები“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „კონცერტი ეკრანზე“, **სპარტაკი** — „მშვენიერი ვასილისა“, **კომინტერნი** — „იხმაურე ქალაქო“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „არინკა“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) „იხმაურე ქალაქო“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ექიმი კალიუჟნი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიურ ინსტიტუტში მიღების პირობები 1940-41 სასწ. წლისათვის

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი (ათწლედი, მუშფაკი, ტექნიკუმი, მოზრდილთა საშუალო სკოლა, სამედიცინო საშუალო სკოლა, სამხედრო სასწავლებელი), ანდა მიღებული აქვთ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი ექსტერნატის წესით.

შენიშვნა 1. 1935 წლამდე მე-2 საფეხურის სკოლის (ცხრაწლედის) კურსდამთავრებულნი დაიშვებიან გამოცდებზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან თანაბრად.

შენიშვნა 2. ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი (სამედიცინო საშუალო სკოლა, სასწავლებელი) დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე, თუ მათ აქვთ კანონით გათვალისწინებული 3 წლის საწარმოო სტაჟი.

სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1933 წლის 15 სექტემბრის დადგენილების თანახმად, აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმ პირთ, ვინც ირიცხება გამოშვების 5%-ში.

ათწლედის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, აგრეთვე ის პირნი, რომლებმაც 1940 წელს დაამთავრეს მუშფაკი, მოზრდილთა საშუალო სკოლა ყველა საგნებში „ფრიადი“ ნიშნით (გარდა ხატვისა, ხაზვისა და ფიზკულტურისა), მიიღებიან უგამოცდოდ.

გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. რუსული ენა (ზეპირი და წერა), 2. ქართული ენა (ზეპირი და წერა ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის), 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია და სსრ კავშირის კონსტიტუცია, 4. მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია — ზეპირი და წერა), 5. ფიზიკა, 6. ქიმია, 7. ერთერთი უცხო ენა — ინგლისური, ფრანგული, გერმანული — სურვილის მიხედვით.

ჩარიცხვის შესახებ განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე, გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20-დან 25 აგვისტომდე.

საექიმო შემოწმება იწარმოებს 28—29 ივლისს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე მისამართით: თბილისი, კრილოვის ქ. № 2, შემდეგი საბუთების დართვით: 1. ავტობიოგრაფია, 2. საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 3. პასპორტი (განმცხადებელი წარმოადგენს პირადად), 4 სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სანტ.), 5. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის).

ინსტიტუტში მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე: ცნობების გაცემა ყოველდღე (საერთო დასვენების დღეების გამოკლებით) 1—3 საათამდე ინსტიტუტის კანცელარიაში.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სტუდენტები, რომლებიც 1 სექტემბერს არ გამოცხადდებიან მეცადინეობაზე, მექანიკურად გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

601

დირექცია.

ქმარი ბენიამინ, შვილები: ნინო, ბიძინა, დოდო, დათიკო, აპოლონი, მული ფედოსია გიორგობიანი იუწყებიან საყვარელი

ნეოლინა პეტრიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს., დაკრძალვა 28/VI 5 ს. ვაკის სასაფლაოზე, მე-2 ირიბის ქ. № 18. (ვაკე).

ნ. ბერელიძე, ნ. დოგრაშვილი, ე. სლინკო, ს. ჯულელი, მ. კინწურაშვილი, ვ. ტერაგულოვი, ვ. სურგულაძე, ლ. გიორგაძე, ა. აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. ხოფერიას

ბივი მშვიდობაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ზაქარია შიხაშვილი, შვილები მარიამ, ნატალია, ალექსანდრე იუწყებიან

მელანია თევდორეს-ასულ ბორცვაძე-შიხაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. ორჯონიკიძეში. 6889

და ელისაბედ ხოფერია შვილებით კატუშათი, ვალოდიათი, გოგუცათი, ბაბუცათი, რძლით, სიძით და შვილიშვილებით იუწყება

ერმილე მამანტის-ძე ქვანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VI 6899

მეუღლე ლენა გვაზავა შვილებით ლევანით და ჰამლეტით, დედა ეკაკი, და ლიდა გელავები იუწყებიან

ლადო ილარიონის-ძე გელავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VI 6 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება აკაკი წერეთლის ქ. 87. 6902

მშობლები თალიკო, იოსებ, ძმა რეზო, ბებიები მინადორა, პელაგია, ბაბუა კოწია, ბიძები, მამიდები იუწყებიან

პატარა იზოლდა შარაშენიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VI 5 ს. პანაშვიდი 26/VI 7 ს. საბურთალო, ანაგის, 4. 6901

მშობლები შაქრო, ნატო შვილებით მანიათი და ლევანით, სიძე ალექსანდრე ციხისთავი, შვილები გურამით, დისწული ცირიკო იუწყებიან

ჟორა შაქროს-ძე ასაბაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. შილდაში 27/VI. 6903

სიმონ ალექსანდროვი, დავით ლასკუტოვი, არტემ მარიმანოვი, პეტრე ჭრელაშვილი, კარლ კლანი ოჯახებით იუწყებიან

დიმიტრი გიორგის-ძე მახარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/VI 7 ს. ბრძოლის, 27, დაკრძალვა 27/VI 5 ს. 6904

სიძე პარმენ პიპტურია ცოლით ლუბათი, შვილებით მიშიკოთი და ზურიკოთი იუწყება

ლადო ილარიონის-ძე გელავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VI ქ. ქუთაისში. 6895

მშობლები დარო, ივანე მაზმიშვილები, და მარო, სიძე ლადო მეკრავიშვილები შვილებით იუწყებიან

ელენე ივანეს-ასულ დონდოლაძე-მაზმიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 26/VI 5 ს. ორჯონიკიძის ჩიხი, 6. 6890

მშობლები ნინო, ლევან, და თინა მელორავები, ბიძა ტიტიკო ცოლშვილით კახიანი იუწყებიან ერევნის ზოოვეტინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტ

ნიკოლოზ მელორავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VI ს. ეწერში (სამტრედია). 6891

დედა მარიამ, ძმები კოტე, ვანო მეუღლეებით, ძმისწულები ლენა, შალიკო იუწყებიან

დავით ნიკოლოზის-ძე მიქაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/VI 7 ს. გამოსვენება 27/VI 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 6905

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის სახ. რაისაბჭოს ალმასკომის თანამშრომლები იუწყებიან ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ბაბო საყვარელიძის ძმის

ანდრო საყვარელიძის

გარდაცვალებას. 6893

ლუარსაბოვი, კუპრაძე, სანიკიძე, კამალოვი, კვერნაძე, ჯიქიძე, ძამოევი, კულულაშვილი, აბაიშვილი, ინგოროყვა, ანანიაშვილი, მინდორაშვილი იუწყებიან ბაბო საყვარელიძის ძმის

ანდროს

გარდაცვალებას. 6894

მეუღლე ლიზა, შვილები, და მაშო ქმარშვილით, ძმები გერასიმე, ევგენი, რძლები პაშა, მარო, ცოლისძმები ბადიაშვილები იუწყებიან

დიმიტრი გიორგის-ძე მახარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/VI 8 ს. გამოსვენება 27/VI 5 ს. ბრძოლის, 27. 6896

და კალისტა, სიძე სოსო კოდუაძე შვილებით ლილით, მედიკოთი და ცისანათი იუწყებიან

თამარ გიორგის-ასულ დედაბრიშვილის

გარდაცვალებას. 6881

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1322